სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

# შრომით ვადიდოთ, ვაშენოთ კომუნიზმი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 271 (12479) | კვირა, 18 ნოემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

## პარტია—ჩვენი მესაჭე

ბევრ მოსკოვში მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. იგი განიხილავს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხს. პლენუმზე, ამ საკითხის დაყენება ახალი ნაბიჯია იმ ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებაში, რომლებიც პარტიას დაუსახა XXII პროგრამამ.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, — ნათქვამია პროგრამაში, — მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის განუწყვეტლივ სრულყოფას. მეურნეობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ყველა რგოლში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების, ბუნებრივ სიმდიდრეთა ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას, ზედმეტი დანახარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრას. საზოგადოების ინტერესებისათვის ყველაზე დიდი შედეგების მიღწევა ყველაზე ნაკლები დანახარჯებით — ასეთია სამეურნეო მშენებლობის უცილობელი კანონი.

სწორედ ამ მოთხოვნათა საფუძველზე განხორციელდა პარტიის XXII ყრილობის შემდეგ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნა.

ამ გარდაქმნის საფუძველზე უკეთ არის გამოყენებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვები, მიღწეულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების ისეთი დონე და ისეთი ტემპი, რომლის დროსაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება გაუსწრებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. საწარმოო სამმართველოები უფრო ღრმად სწვდებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, უფრო ოპერატულად წყვეტენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს.

სოფლის მეურნეობის მართვის ამ დიდმა გარდაქმნამ სხვა მოძმე რესპუბლიკების მხარდამხარ მკვეთრად გაზარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებები. თუ წელს მიღებულია 170 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და აღებულია შვიდწლედის ზღუდე, თუ ჩვენი რესპუბლიკის ბევრნახევრებმა, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, შეძლეს მიეღოთ უურძნის უხვი მოსავალი, თუ ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მძლავრი ნაბიჯები გადადგეს წინ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების გზაზე, ეს უველფერი უპირველეს ყოვლისა მეურნეობის მართვის გარდაქმნის შედეგია.

ამჟამად საწარმოო სამმართველოები ღრმა ანალიზს უკეთებენ ეკონომიკის მდგომარეობას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ანალიზს უკეთებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობას, არკვევენ, როგორია შრომის დანახარჯები ამა თუ იმ კულტურაზე, როგორ არის ანაზღაურებული გაწეული შრომა — რამდენი პროდუქციაა მიღებული შრომის ერთეულზე როგორც ნატურით, ისე ფულად გამოხატულებით.

ამას იმიტომ აკეთებენ, რომ, როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი თავის წერილში აღნიშნავს, — შეეძლოთ გარკვევით დაენახოთ მეურნეობის ხელმძღვანელობის მარცხი და შეცდომები და თავიდან ავიცილოთ ისინი მომავალ წელს. ასეთი მუშაობა აგრეთვე იმისათვის არის საჭირო, რომ უკეთ ვიცნობდეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვებსა და შესაძლებლობებს, მეტი მოზანსწრაფულობით ვნერგავდეთ წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს.

გამოუყენებელი რეზერვები განა მარტო სოფლის მეურნეობაშია? მართალია, მრეწველობაში ჩვენ უფრო ძლიერი ვართ, ორგანიზაციულადაც და ტექნიკურადაც, ვიდრე სოფლის მეურნეობაში, მაგრამ აქაც, მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გამოუყენებელი შესაძლებლობანი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის სიტყვაში რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე აღნიშნავდა: „პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახლა ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა, უფრო სრულად გამოვიყენოთ იქ არსებული რეზერვები... როგორ ინერგება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება“.

როგორც წინა პლენუმებზე, რომლებმაც განიხილეს სამეურნეო მშენებლობის ძირითადი საკითხები, ასევე მორიგ პლენუმზე მიწვეული არიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან. ეს ფაქტი კვლავ და კვლავ მოწმობს იმას, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ახორციელებს მუშაობის ლენინურ სტილს, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის ყოველთვის ეყრდნობა პარტიისა და ხალხის კოლექტიურ გამოცდილებას.

როგორც ცნობილია, მუშაობის ეს ლენინური ტრადიცია უხეშად ირღვეოდა პიროვნების კულტის პერიოდში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით აღმოფხვრა იგი. ახლა სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის საკითხი, ისევე როგორც ეს ლენინის დროს იყო, დაყენებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებისა და ზრუნვის ცენტრში.

პარტიისა და ხალხის ერთიანობა იმაშიც გამოიხატება, რომ ჩვენი ქვეყნის მილიონნობით მშრომელი ყოველთვის, როცა პარტია აბარებს ამა თუ იმ დიდ ღონისძიებას, ისწრაფვის შრომითი წარმატებებით აღნიშნოს იგი. ამჯერადაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის ცნობამ მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში.

ამ დიდ შემოქმედებითს შრომაში სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც. ყოველ-დღე სასიხარულო ცნობები მოდის საკოლმეურნეო მინდვრებიდან და საწარმოებიდან.

საქართველოს მეტალურგები და მეშახტეები, რკინიგზელები და მშენებლები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სხვადასხვა საწარმოთა მუშები, ოსტატები, ნოვატორები პლენუმის აღსანიშნავ ვახტზე დადგნენ და ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვეს შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში. მათ კარგად იციან, რომ ეს წარმატებები კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების ტემპს შვიდწლედის მეხუთე წელს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას, განამტკიცებს ჩვენი დიადი სამშობლოს — მთელს მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის თავდაცვის ძლიერებას.

ასე ფიქრობს და შრომობს საბჭოთა ადამიანი, რომელსაც ხელთ უპყრია პარტიის დროშა, ლენინის დროშა. ამ დროშით იმარჯვებდა იგი და იმარჯვებს, ეს დროშა უნათებს მომავლის გზას.

ამ დროშის სიწმინდით განიხილავს და გადაჭრის უდიდეს პარტიულ და სამეურნეო საკითხებს დიადი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ხვალ დაიწყებს მუშაობას ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში.

## ჯილდო ლირსეულთ

16 ნოემბერს სამტრედიის კვანძის რკინიგზელთა კლუბში სამტრედიელ რკინიგზელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

კრება გახსნა გზის სამტრედიის განყოფილების რაიპროფკავშირის თავმჯდომარემ ვ. ვაჩეიშვილმა.

სიტყვა მიეცა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს გ. ქადაგიძეს. სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე ამიერკავკასიის მაგისტრალის ხელმძღვანელობის სახელით და დავალებით მან გულმხურვალედ მიულოცა განყოფილების რკინიგზელებს საპატიო ჯილდო.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. ქადაგიძემ საპატიო ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა სამტრედიის განყოფილების უფროსს ლ. ვარდოსანიძეს.

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზ. გელეიშვილმა განაცხადა, რომ სამტრედიის დეპოს მძიმე წონის შემადგენლობათა მემანქანეებმა, რომლებიც შრომითს ვახტს ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად, დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მათ გადაიყვანეს ათასობით მძიმე წონის მატარებელი და დაწესებული ნორმის გადამეტებით გადაიტანეს 1600 ათასი ტონა ტვირთი.

კრებაზე გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ა. მანჯგალაძე, ბათუმის დეპოს უფროსი მ. ფირცხალავა, სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის უფროსი ი. ვაშაკიძე და სხვები. სამტრედიელ რკინიგზელებს მიესალმნენ პიონერები.

კრებაზე გამოაქვეყნეს გადაწყვეტილება, რომ განყოფილების რკინიგზელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრებით.

(საქდესი).

## ასეთია მათი პიროგა

ბათუმი. (საკ. კორ.). სამრეწველო კომბინატის (დირექტორი ნ. ნიკოლაიშვილი) კოლექტივი სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა დიდი ოქტომბრის 45 წლისთავს. 30 ოქტომბერს შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმები და წინასადღესასწაულო ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან შრომის ნაყოფიერება გაზრდილია გეგმასთან შედარებით 6,2 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 2,43 პროცენტით შემცირდა ზეგეგმითმა დაგროვებამ 95,5 ათასი მანეთი შეადგინა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ლიმონათის, მანქანათსარემონტო, ფართო მოხმარების საგნების ქარხნებისა და გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივებმა.

სამრეწველო კომბინატის კოლექტივი მიღწეულს არ დასჯერდება. ნოემბრის ბოლომდე სამშობლოს მისცემს 280 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.

გაგრის რაიონის ილიჩის სახელობის მეცივტრუსეობის საბჭოთა მეურნეობამ იკისრა წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ 800 ტონა ნაყოფი. სურათზე: ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. გერია ამოწმებს მკრეფავების გ. ბეღოვასა და ნ. ნოვოსელოვას მიერ ჩაბარებულ მანდარინს.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სახლი 22 დღეში

კაცი, რომელსაც სახლი აუშენებია ან აშენებს, ჩვეულებრივად ასე ამბობს ხოლმე, რა ვიცოდი, ასე თუ გამიჭირდებოდა, თორემ ნამდვილად არ დავიწყებდიო.

რატომ მოვიყვანეთ ეს სიტყვები? იმიტომ რომ სახლის პრიმიტიული მეთოდებით მშენებლობა მართლაც ძნელია.

მაგრამ აი ჩვენში ტექნიკა ისე წავიდა წინ, რომ მშენებლებს მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ, როგორმე სწორად დაიწყონ კედლები, თავის ადგილზე მოათავსონ ტიხრის ფილები და გადასახურავი კონსტრუქციები.

და მერე სად არის ყოველივე ეს?

თუ გაინტერესებთ, მობრძანდით რუსთავში, შეიარეთ დიდანელიან სახლთმშენებელ ქარხანაში, რომელმაც ეს ეს არის გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია. იქ აუცილებლად დგა ხვდებათ ქარხნის დირექტორი ირაკლი კოშორიძე. იგი სიტყვაძუნწი კაცი არ არის, დეტალურად მოგიყვებათ ყოველივეს.

სხვათა შორის, დიდპანელიანი სახლთმშენებელი ქარხნები მშენებლობის ინდუსტრიაში ახალი სიტყვაა. რესპუბლიკაში მხოლოდ ბიჭვინთაშია ასეთი ქარხანა. ირაკლი კოშორიძე სწორედ ამ ქარხნის დირექტორი იყო სულ რაღაც ხუთი თვის წინათ. ახლა კი, როგორც ხედავთ, რუსთავშია.

რაში მდგომარეობს დიდპანელიანი სახლთმშენებელი ქარხნის მთავარი არსი? არ შეიძლება პირველად ეს კითხვა არ დასვათ.

— რაში და მეტად მცირე მუშახელით მექანიზაციაზე დაყრდნობით გამოშვებულ იქნას დიდი რაოდენობით ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, — ვეტყვით ირაკლი კოშორიძე და განაგრძობს:

ქარხნის სიმძლავრე წელიწადში 35.000 კვადრატული მეტრი ფართით განისაზღვრება, ე. ი. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარჯზე აშენდება 27 ოთხსართულიანი სამსვეტიანი სახლი.

რა სახის პროდუქციას მისცემს ქარხანა მშენებლებს?

ყველაფერს, გარდა საძირკვლისა. ესენია გარე და შიდა კედლები ტიხრებით და გადასახურავი ფილებით, კიბეები, კარნიზები და სხვ.

და როცა ქარხანა მთელი მასშტაბით ამუშავდება, აქ შეძლებენ 22 დღის განმავლობაში დაამზადონ სახლისათვის ყველა საჭირო ნაწილი. ამ ვადას თვით მშენებლებიც დაიცავენ.

მაშასადამე, 22 დღე და ერთი სახლი! შესანიშნავი მიღწევაა. გამოანგარიშებულია ისიც, რომ დიდპანელიანი სახლთმშენებელი ქარხნის მიერ დამზადებული ნაწილებით აგებული სახლი 30-40 პროცენტით იაფი ჯღება, ვიდრე ჩვეულებრივი წესით ნაგები სახლი.

მართალია, ქარხანა ჯერ კიდევ არ ამუშავებულა, მაგრამ აქ ნახავთ თითქმის ყველა პროდუქციის ნიმუშებს. აწყვია 10, 12, 15 და მეტი კვადრატულ მეტრის ფართობის შიდა კედლები, გადასახურავი ფილები, ტიხრის კედლები, კიბეები და მრავალი სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ქარხანამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა. ისევ გაანგარიშებული, რომ წელს შეძლებენ დამზადონ ერთი სახლისათვის საჭირო ყველა ნაწილი.

და როცა ქარხნის პირველ პროდუქციაზე ჩამოვარდება ლაბარაკი, არ შეიძლება ქარხნის დირექტორმა ირაკლი კოშორიძემ პირველ რიგში არ დასახელოს ინჟინრები ჯ. მაჭავარიანი, ი. კვარცხავა, ჯ. გიორგაძე და გ. ქუთათელი, დამყალიბებლები და მებეტონეები ვ. ბუთურიშვილი, ა. ბაღდადიშვილი, ე. კუშმირი, მ. სირომიატნიკოვი, ს. სემენდა და მრავალი სხვა. აი სწორედ ეს ადამიანები არიან, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქარხნის ახალი პროდუქციის გამოშვებაში.

... ქარხნის ტერიტორიაზე ორთქლმავალი ქშენავს. ეს რაღა არის?

— ჩვენი ქარხანა დაგეგმილია ორთქლით მუშაობაზე. ორთქლი კი მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროსადგურიდან უნდა მივიღოთ, ჯერჯერობით იქ არ დაუმთავრებიათ ქვაბის მშენებლობა და ჩვენც საშუალება არა გვაქვს მივიღოთ ორთქლი. ამიტომ არის, რომ დროებით ორთქლმავალს ვამუშავებთ, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა.

... რუსთავში რომ შედიხართ, თქვენს თვალწინ გაშლილია ვეებერთელა სამშენებლო მოედანი.

ქალაქის შემდგომი მშენებლობაა. იქვე შეამჩნევთ ახლად ჩაყრილ საძირკველს. იგი უცდის ახლახან ამოქმედებულ ქარხნის პროდუქციას.

22 დღეში იქნება ახალი სახლი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ა. ი. მიქოიანისა და ე. გევარას შეხვედრა

ჰავანა, 17 ნოემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი 16 ნოემბერს ეწვია კუბის რევოლუციური ორგანიზაციების გაერთიანების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრსა და მრეწველობის მინისტრს ერნესტო გევარას.

ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ამხანაგ ერნესტო გევარასთან ერთად განიხილეს კუბის რესპუბლიკისათვის საბჭოთა ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევის კონკრეტული საკითხები.

## მეგობრების მადლობა

სიხარულით, მეგობრებსა და ძმებსავით შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქის მშრომელები ქალაქ ბაკოდან ჩამოსულ მეგობრობის მატარებელს.

522 ბაქოელი სამ დღეს იყო თბილისში, ეცნობოდნენ ძის ღირსშესანიშნაობებს. გულითადი გაცილება მოუწყეს სტუმრებს გამგზავრების დღეს.

საქართველოს პროფსაბჭომ ამ დღეებში აზერბაიჯანის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან მიიღო წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მეგობრობის მატარებლის მონაწილეთა ყოფნა საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისში დიდ ხანს დარჩებათ მეხსიერებაში აზერბაიჯანის მენავთობეებს, ქიმიკოსებს, მანქანათმშენებლებს, სახალხო მეურნეობის სხვა კავშირთა სხბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლებმა.

მომავალ წელს დასახულია გამოშვებულ იქნეს 20 მილიონი ტონა მინერალური სასუქი (მიმდინარე წელთან შედარებით ზრდა 16 პროცენტს აღემატება) და 119 ათასი ტონა შხამქიმიკატი და ჰერბიციდი (ზრდა 27 პროცენტით).

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა რესურსების გამონახვა შხამქიმიკატების წარმოების გადიდებისათვის, რომლებზეც მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზარდა ნათესი ფართობების სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ ნელა მიმდინარეობს მცენარეთა დაცვის ახალი, უფრო ეფექტიანი საშუალებების ათვისება, რომ ნელია ახალ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის ტემპი, რომელთა აგება მრავალი წლის განმავლობაში ჭიანურდება.

ᲕᲣᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘ. მაღალი მთის ხოჯალის ღრმა კლდეებში შენდება უნიკალური შახტა-ჰესი. გვირაბგამყვანთა ბრიგადებმა ვალდებულება აიღეს 6-კილომეტრიანი წოლხვრელის გაყვანა დამთავრონ ვადამდე ერთი წლით ადრე.

სურათზე: ტუკვარჩელის შახტა-ჰესის გვირაბგამყვანები (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. გაგუა, გ. გახარია, თ. კაცია და რ. ჯალალონია.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესი).

## ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე

### საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში ძიმდიხარეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი:

1. ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი;

2. სკოლისათვის ზრუნვა კომკავშირის სასოცოცხლო საქმეა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ე. ჩერქეზიამ.

— საქართველოს ახალგაზრდობამ, — ამბობს ამხ. ჩერქეზია, — თავისი თავდადებული შრომითა და შესანიშნავი წარმატებებით ერთხელ კიდევ დაადასტურა ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, მაღალი პოლიტიკური დონე და იდეური სიღრმე. ჩვენ ვამაყობთ ახალგაზრდა მეჩაიეებით, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 170 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი; მევენახეებით, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის კრეფის გეგმები და ვალდებულებანი. სიხარულით აღვნიშნავთ ჩვენი რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის შრომითს მიღწევებს, რომელიც სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 3 ათასი ტონა თუჯი, 9 ათასი ტონა ფოლადი, 25 ათასი ტონა მარგანეცი.

ამხ. ჩერქეზიას მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ჩიკვაიძემ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორმა გ. გელაშვილმა, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ხვარციკიამ, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ლ. სანაკოევმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა შ. ბუაჩიძემ და სხვ.

მორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. გურგენიძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. კოკოევმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშჭარაშვილმა, სოხუმის საქალაქო საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ნ. ბოკუჩავამ, ქ. ქუთაისის ვ. მაიაკოვსკის სახელობის I საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ე. კინწურაშვილმა, ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა ჯ. კვარაცხელიამ, საქართველოს ალკკ გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ბუთხუზმა და სხვ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ვ. მ. სირაძემ, ი. გ. რთველიაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ა. კვაჭაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა მ. ა. გოგიჩაიშვილმა, გ. გ. პაიჭაძემ.

პლენუმზე ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ნიშანი „კომკავშრომში აქტიური მუშაობისათვის“ გადაეცათ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორს ი. ცერცვაძეს და ჟურნალ „დილას“ რედაქტორს ე. ნონეშვილს. (საქდესი).

## ᲖᲠᲯᲐᲜᲔᲑᲐ

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1962 წლის 18 ნოემბერი № 282 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მერაკეტეებო და არტილერისტებო, რაკეტული და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები დღესასწაულობენ არტილერიის დღეს.

ჩვენი სამშობლო ამ დღესასწაულს აღნიშნავს თავისი მძლავრი ძალების გაფურჩქვნის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის მშრომელები, მჭიდროდ დარაზმულნი ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო, თავდადებული შრომით წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პრაქტიკულად ახორციელებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდებულ პროგრამას.

ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს და განამტკიცოს ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა, თავიდან აიცილოს კაცობრიობას თერმოგლობალური ომის საშინელებანი. მთელი მსოფლიოს ხალხები მზურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ბრძნულ და მტკიცე პოზიციას, რომლის მეოხებითაც ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ერების გეგმები კუბის რესპუბლიკის მიმართ და შეიქმნა პირობები, რათა მოლაპარაკების გზით გადაიჭრას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშვიდობის განმტკიცების, სოციალისტური სამშობლოს, სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის უმიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი იყვნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე და გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა აგვიმონ აგრესორს, თუ იგი ომს გააჩაღებს.

რაკეტული ჯარებისა და არტილერიის მეომართა, იაკვე როგორც შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობის, წმიდათა წმიდა მოვალეობაა მუდამ იჩენდნენ სიფხიზლეს, მტკიცე დისციპლინირებასა და ორგანიზებულობას, ინარჩუნებდნენ ნაწილებისა და ხომალდების მაღალ საბრძოლო მზადყოფნას.

მოგესალმებთ და მოგილოცავთ დღესასწაულს — არტილერიის დღეს!

ამ დღესასწაულს აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 18 ნოემბერს, მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს!

გაუმარჯოს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებსა და მათს სახელოვან რაკეტულ ჯარებსა და არტილერიას!

დიდება მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხს ყველა გაძარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

## ᲓᲦᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

## მომავალი წლის ანგარიშში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ პლენუმს შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ეგებება ავტალის შუშის ქარხნის კოლექტივი. ქარხანამ ვადაზე ადრე, 16 ნოემბრისათვის 101,8 პროცენტით შეასრულა თერთმეტი თვის საწარმოო გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 36 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია მისცა. გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით წარმოებულია 600 ათასი ცალით მეტი ბოთლი. ათ თვეში შრომის ნაყოფიერება 5,9 პროცენტით გაიზარდა. წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით მიღებული ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 49 ათასი მანეთი.

ქარხანაში ბევრია მოწინავე ბრიგადა და კომუნისტური შრომის დარგებით წარმოებული 325 ათასი ცალი — დაახლოებით 37 ათასი ცალით მეტი, ვიდრე ფაქტიურად წარმოებული იქნება მიმდინარე წელს. დიდდება ავტომობილიანა, სათადარიგო ნაწილების, ავტომობილისა და ტრაქტორის მისაბმელების, აგრეთვე საკისრების წარმოება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

სოფლის მეურნეობის მანქანების წარმოებაში მოხდება არა მარტო რაოდენობრივი, არამედ მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებებიც. კერძოდ, გამოშვებულ იქნება 97 სახეობის ახალი მანქანა. დაიწყება ჩქაროსნული ტრაქტორის მასობრივი გამოშვება.

მოხსენების განხილვის დროს დეპუტატებმა გამოთქვეს მთელი რიგი წინადადებანი მრეწველობის ამ დარგების განვითარების შესახებ მომავალ წელს.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილების უზრუნველყოფას სათადარიგო ნაწილებზე. ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოება მიმდინარე წელთან შედარებით დიდდება 9,3 პროცენტით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა—7,3 პროცენტით. და მაინც ეს არ ფარავს მოთხოვნილებას. მათზე. ამიტომ დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ არსებული რესურსების ფარგლებში საჭიროა მოიძებნოს უაღრესად დეფიციტური სათადარიგო ნაწილების წარმოების გადიდების გზები. მაგრამ მთავარია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის უკეთესი ორგანიზაცია, სარემონტო ბაზის განმტკიცება, მანქანების დეტალების უფრო ფართო რესტავრაცია.

დეპუტატებმა ყურადღება მიაქციეს ტრაქტორების მარკების რაოდენობის უზომო გადიდებას. ახლა, მაგალითად, გამოდის 11 მარკის მუხლუხა მანქანა, 14 მოდიფიკაციით და 10 მარკის თვლიანი მანქანა. ამის შედეგად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გვხვდება უამრავი სხვადასხვა მარკის მანქანა, რაც აძნელებს და აძვირებს მათ ექსპლოატაციას.

დეპუტატებმა მწვავედ დააყენეს ძრავების (კერძოდ დიზელების) ეკონომიურობის პრობლემა, ტრაქტორისა და ავტომობილის ძრავების საწვავის ხარჯვა ერთ ცხენის ძალაზე ერთ საათში შეადგენს 210 გრამს, მაშინ როცა საუკეთესო ნიმუშის ძრავები ჩვენში და საზღვარგარეთაც ხარჯავენ 15-20 პროცენტით ნაკლებ საწვავს.

დეპუტატებმა შემდეგ აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ გეგმაში ჯეროვნად ვერ აისახა მებოსტნეობის მექანიზაციის საკითხები, მათ ხაზი გაუსვეს აგრეთვე იმას, რომ საჭიროა მოწყობილობის კომპლექსური წარმოება ფერმერებისათვის, სპეციალური ტრაქტორის შექმნა საქართველოს, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების მთიანი რაიონებისათვის, სამეცნიერო დაწესებულებათა უფრო ფართოდ ჩაბმა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საარსებო პრობლემების

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

# გამრჯე მარჯვენით, ნათელი გონებით

## როცა წარმატებებს ჩრდილიც აზლავს

### ზოგიერთმა რაიონმა რატომ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვეს. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ჩვენს მხვნელ-მთესველებს, მეჩაიეებს, მევენახეებს კარგი ხანია ასეთი ბარაქიანი შემოდგომა არა ჰქონიათ.

რესპუბლიკის სახელოვანმა მეჩაიეებმა შვიდწლედის მეოთხე წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 155 ათასი ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 170 ათას ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". შვიდწლედის დავალება ვადაზე სამი წლით ადრე შესრულდა, რისთვისაც სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება დაიმსახურეს.

სასიკადულოა მევენახეთა თავდადებული შრომის შედეგები. წელს რესპუბლიკამ გეგმით უნდა დამზადებულიყო 190 ათასი ტონა ყურძენი, მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 203.792 ტონაზე მეტი.

უხვ მოსავალს იღებენ მეხილეები და მეციტრუსეებიც. მათი პატრიოტული მისწრაფებაა არ ჩამორჩნენ მეჩაიეებს და მევენახეებს, მისცეს სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ხილი, მეტი ნარინჯოვანი.

ეს წარმატებები იმაზე მეტყველებს, რომ სოციალისტური სოფლის ადამიანებმა ისწავლეს, ღრმად შეისისხლხორცეს კომუნისტურად შრომა.

ჩვენი სოფლის მშრომელები ახლა კერძო, პირადულ ნაჭუჭში როდი არიან ჩაკეტილი. განუხრელი აღმავლობით მიდის წინ, ვითარდება, მტკიცდება საზოგადოებრივი მეურნეობა.

ამ შემოდგომაზე, რთველი რომ გაჩაღდა და სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საქმეში პირველი დღეებიდანვე მოპოვებულ იქნა სასახელო წარმატებები, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მისალმებით მიმართეს გურჯაანის, სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, ყვარლის, წითელწყაროს, სიღნაღისა და გურჯაანის პარტიის რაიონულ კომიტეტებს და რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის მევენახეთა შორის. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, რაიონებმა, ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა ახალი პატრიოტული ვალდებულებები აიღისეს.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს (სამმართველოს უფროსი დ. სარიშვილი, ცენტრალური კომიტეტის პარტორგი გ. აზაურაშვილი) გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 32.855 ტონა ყურძენი, მიჰყიდა 43.696 ტონა, გეგმის შესრულება შეადგენს 132,9 პროცენტს. სიღნაღის საწარმოო სამმართველოს (სამმართველოს უფროსი მ. ბრეგვაძე, ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ს. ხოსროშვილი) სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 14.460 ტონა, ფაქტიურად მიჰყიდა 20.512 ტონა ყურძენი, გეგმის შესრულება უდრის 141,8 პროცენტს. ყვარლის რაიონს (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გ. ზაუტაშვილი) გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 10.000 ტონა, მიჰყიდა 12.081 ტონა ყურძენი, გეგმის შესრულება უდრის 120,8 პროცენტს.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვაში თავი გამოიჩინეს მცხეთის, ამბროლაურის, წითელწყაროს, თერჯოლის და სხვა რაიონების მევენახეებმა.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ საერთო წარმატებებში მევენახეობის ყველა საწარმოო სამმართველომ, რაიონმა, საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ პირნათლად გაანაღდა გეგმა და ხაკისრი ვალდებულებანი?

სამტრედიის მონაცემები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვაში ჩარმორჩენილნიც არიან.

ზესტაფონის საწარმოო სამმართველოში (სამმართველოს უფროსი მ. სამხარაძე, ცენტრალური კომიტეტის პარტორგი გ. ყიფიანი) ძირითადად მევენახეობის რაიონები შედის. მოსალოდნელი იყო, რომ ამ სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე საკარმიდამო ვენახების მქონე კოლმეურნეები, მუშა-მოსამსახურეები არ ჩამორჩებოდნენ სხვებს, სახელმწიფოს მიჰყიდდნენ ყურძნის მოსავლის მაქსიმუმს. ფაქტები კი სულ სხვას მეტყველებს.

ზესტაფონის რაიონმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი პ. სახვრიძე) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16.020 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 15.240 ტონა ყურძენი, გეგმის შესრულება უდრის 95,1 პროცენტს, ორჯონიკიძის რაიონმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ბერაძე) ნაცვლად 6.300 ტონისა — 5.702 ტონა, გეგმა შესრულებულია 80,9 პროცენტით, საჩხერის რაიონმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი პ. ნოზაძე) ნაცვლად 4.610 ტონისა — 4.427 ტონა, გეგმა შესრულებულია 96 პროცენტით.

სამარცხვინოდ ჩამორჩნენ სამტრედიის საწარმოო სამმართველოში შემავალი რაიონები (სამმართველოს უფროსი გ. ქართველიშვილი, ცენტრალური კომიტეტის პარტორგი კ. შავიშვილი). სამმართველოს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 91,4 პროცენტით. სამტრედიის რაიონს (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი მ. ცქიტიშვილი) გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 800 ტონა ყურძენი, მიჰყიდა 512 ტონა, გეგმის შესრულება უდრის 64 პროცენტს.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვაში ჩამორჩნენ გორის რაიონი (გეგმის შესრულება 97,8 პროცენტი), ქარელის (გეგმის შესრულება 54,8 პროცენტი), წყალტუბოს (გეგმის შესრულება 86,5 პროცენტი) მახარაძის (გეგმის შესრულება 54,3 პროცენტი), გეგეჭკორის რაიონი (გეგმის შესრულება 95 პროცენტი).

ჩამორჩენილთა რიგებში არიან აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, სადაც გეგმის შესრულება უდრის 88,2 პროცენტს, და აჭარის ასსრ — გეგმა შესრულებული აქვს 78,6 პროცენტით.

რით უნდა აეხსნათ, რომ შვიდწლედის მეოთხე წელს საქართველოს მევენახეთა თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად მიუტევებელი ჩამორჩენის მაგალითებიც გვაქვს?

ნურავინ იფიქრებს, თითქოს იმ რაიონებში, რომლებმაც სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებები ვერ შეასრულეს, წელს ცუდი მოსავალი იყო. არა, ჩამორჩენის მიზეზი სულ სხვაა. საქმე ის არის, რომ ამ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა თვითდაშშვიდება, უდარდელობა გამოიჩინეს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ასეთმა განწყობილებამ კი ის გამოიწვია, რომ საზოგადოებრივ მარნებში არ მივიდა ათასობით ტონა ყურძენი, რის რეალური შესაძლებლობა უთუოდ იყო.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი, რომელიც მდიდარია შრომისმოყვარე ადამიანებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სიუხვით, დოვლათით, მტკიცედ მიაბიჯებს წინ გამარჯვებათა გზით. უსაზღვროა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, შესაძლებლობანი, ხოლო არ უნდა დავივიწყოთ, რომ რამდენადაც დიდია ეს შესაძლებლობანი, იმდენად მეტი შრომა, მეტი ოპერატიულობა, მასების ხელმძღვანელობის მეტი უნარი მოეთხოვებათ სოფლის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. უნდა გვახსოვდეს, რომ მასსებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ოდნავი მოდუნებაც კი დიდ ხარვეზს იწვევს, ასუსტებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს, რაც შეუწყნარებელია.

სოფლის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ.

## ნახვამდის მთებო...

### ალვანელთა ხხვარი მიემართება საზამთრო საძოვრებისაკენ

ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მუშტისოდენა ღრუბელი ჩანდა; თანდათანობით გადიდდა და ალაზნის გადმოსახედს პირქუშად დაადგა. არ იქნა, ვახტანგ მარწინაძეს ძილი არ მიეკარა. წამოდგა, ნაცარში შეხვეული მუგუზლები გამოქექა, ცეცხლს გაჩაღება სცადა, მაგრამ როდესაც ალბაჯზე დაყრილ ცხვარსა და გარს შემომსხდარ მყეფრებს თვალი მოავლო, კვლავ თავის ადგილ-სამყოფელს დაუბრუნდა.

— რა მოუსვენრობა შეგიდგა, ვახტანგ, თვალს რატომ არ მოატყუებ? — ნახდიდან თავი წამოჰყო ლადო ბექურიძემ.

— ბარემ ძილი მინდოდა კიდეც, წუხელის უცნაური სიზმარი ვნახე ტიალი, მასზე ფიქრი გულიდან ვერ გადავიგდე.

— ღმერთი გიშველის, რა გესიზმრა, მიამბე. ვინ იცის, ეგეც მოსაყოლადაც არ ღირს, — თავისთვის ჩაილაპარაკა ლადომ.

— ბავშვობისას დედა მეტყოდა ხოლმე, როდესაც ცუდ სიზმარს ნახავ, პირველად წყალს უნდა უთხრა, მას გაატანოო. გათენდება. ხეობაში ჩავალ, ძილში ნახულ-განცდილს ალაზნის ტალღებს ვუამბობ, მერე მოვბრუნდები, ავშლი სამწყემსოს, და ჰერი საზამთრო საძოვრებისაკენ.

— ჩვენ აღარაფერს გვეტყვი, — არ მოეშვა სმენადქცეული ლადო და ნაბდის ქვეშ თავის დასადებად ქვეშაგები შეისწორა.

— ეტყვით, მხოლოდ ერთი პირობით, რომ არ გამაქილიკებთ, — ჩამარცვლა ვახტანგ მარწინაძემ.

— ეჰა, ეგ რა ვაუკაცის საქმეა, სიზმარი ნახო და წყალ-წყალ სათხრობად იარო, კაცს ნურაფერი გაგიჭირდება, თორემა ბედმა მაგნაირები არ იცის. არც ის ვარგა, რომ ყველაფერი მზამზარეული გქონდეს. ვაუკაცი სიძნელეებთან ჭიდილში მოწმდება. ხომ იცნობ გარსო კურდღლაიძეს, ოცდასამი წლის ჭაბუკმა უმაღლესი დამთავრა, ამ ოთხიოდე წლის წინათ შორეულ ანტარქტიკაში ექსპედიციას გაჰყვა. ქვეყანა ალაპარაკა ქვემოალვანელმა ვაუკაცმა. ვინ იფიქრებდა, რომ თუშეთის მთებში გაზრდილი მწყემსი ანტარქტიდის ყინულებს დაადგამდა ფეხს. საკვირველია მართლაც.

* * *

გათენებისას სულ პირველად ლადო ბექურიძე წამოდგა. ძალზე გაიოცა, როცა თვალი თოვლით გადალესილ ქანჩრებს შეავლო. თეთრი ნისლები მთების ღარტაფებში შეეყუყულიყვნენ. მოახლოებული ზამთრის საუწყებლად მონაბერი ცივი ნიავი სისინით ელამუნებოდა სახეზე.

ლეკვ ვაკის გადასახედიდან კარგად მოჩანს მადლიანი ალაზნის ველი, ბახტრიონის გორის გადმოსწვრივ ერთურთზე მიბმული თუშთა სოფლები — ზემო და ქვემო ალვანი. გასულ წელს ორივე სოფლის კოლმეურნეობა გაერთიანდა, მას ელდარის საბჭოთა მეურნეობაც შეუერთდა და ქვემო ალვანის მეცხვარეობის საჯიშე საცდელ-სანჯენებელი მეურნეობა შეიქმნა.

ქვემოალვანელები ახლა 71.500 სულ ცხვარს ითვლიან, 44.000 ნერბია, 49 ბრიგადა 4 მსხვილ ფერმასა ქმნის. მმართველობას გამოცდილი სპეციალისტები უწევენ.

ახალგაზრდები კირილე გოჩილაიძე, ლუარსაბ ხახიძე, ტატეფაე ქიქაიძე, როსტომ აშაძე და სხვები ცხვარ-თოხლის პატრონობაში გამოცდილ მწყემსებს ტოლს არ უდებენ. მათ თვითეულ ცხვარზე 4 კილოგრამზე მეტი მატყლი გაპარსეს ნაცვლად 3,6 კილოგრამისა.

...საამო დღე ედგათ ალვანელებს ამას წინათ. ზოოტექნიკოსებს ლევან ციხელაშვილს და ივანე ნაკუდაშვილს მწყემსებთან ახალი ყურნალ-გაზეთები მოეტანათ, გორასთან ვეება კოცონი ენთო, კავნაბდიან მწყემსებს თავი მოეყარათ, სოფლიდან დამხმარე მწყემსები მოსულიყვნენ. აქვე იყვნენ ვახტანგ მარწინაძე და ლადო ბექურიძე. მათ შორის ხალისიანად ტრიალებდა ოთხმოცე წელს მიღწეული თანდილა ჩოგანაიძე. ყველას სიხარულის უზომო განცდა დაუფლებოდა. გაზეთები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი პლენუმის მოწვევის ამბავს იტყობინებოდნენ.



მეორე კვირაა, რაც ალვანელთა ფარებმა დატოვეს ჩამოთოვლილი კავკასიონის მთები, გეზი შირვანისა და შირაქის საზამთრო საძოვრებისაკენ აიღეს. მწვანით ახავერდებულ მთათა კალთებზე ალარ ისმის მწყემსთა სალამურის ხმები. გამარჯვებულნი მიუყვებიან გზას საზამთრო საძოგრებისაკენ. ატალლებულ ცხვრის ფარებს სათვალავი არ უჩანს...

უკან რჩება მშობლიური მთები.

**ვ. ყუშიტაშვილი.**

**სურათებზე:** ზევით — მწყემსი კ. გოჩილაიძე და ბრიგადირი ლ. ხახიძე, ქვემოთ — მწყემსი ი. ელანიძე.

ფოტო ავტორისა.

# მშენებლის ლირსება

### წერილი მოსკოვიდან

**№ 1 ტრესტ „მოსმშენის" № 6 კომკავშრომულ-ახალგაზრდული სამშენებლო სამმართველოს ბერმანე ლამოჩკინის მემონტაჟეთა კომუნისტური შრომის კოლექტიური ბრიგადის წერილი**

**მთავარმბრძანებლისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს ნიკანდრო ძაბანიას ხუროთა კომუნისტური შრომის № 1 ბრიგადას**

ჩვენი ქვეყანა, მთელი ხალხი ცხოვრობს ერთი მიზნით — განახოციელოს აკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ძვირფასო მეგობრებო! ხვალ, რკინა სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობს შეუდგება მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, როძელიც სხვა საკითხებთან ერთად განხილავს მშენებლობის საკითხებს. პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი ზრუნვა მშენებლობისადმი აძლიერებს მშენებელთა არმიის პასუხისმგებლობის გრძნობას. ჩვენი მოვალეობა ნათელი და გასაგებია — ვაშენოთ სწრაფად, ხარისხით და ნაკლები დანახარჯებით.

ჩვენ, მოსკოველი მშენებლები, ვამაყობთ იმით, რომ წილად გვხვდა ვაშენებდეთ და ვამშენებდეთ ჩვენს შესანიშნავ დედაქალაქს.

9 თვეში მოსკოვში საკუმპლოატაციოდ გადაეცა 76 ათასზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა, 48 სკოლა, 10 საავადმყოფო, 13 პოლიკლინიკა, 87 საბავშვო ბაღი და ბაგა, 224 მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ორასზე მეტი საწარმო. მწყობრში ჩადგა პიონერთა სასახლის პირველი რიგი და პანორამა „ბოროდინოს ბრძოლის" შენობა.

დედაქალაქის მეტრომშენებლებმა აამუშავეს მიწისქვეშა რკინიგზის ცხრა კილომეტრიანი ხაზი.

მოსკოვის მშენებლობაში მცირე შრომა როდი აქვს გაწეული № 1 ტრესტ „მოსმშენის" ჩვენს № 6 კომკავშრომულ-ახალგაზრდულ სამმართველოსაც.

წლიური გეგმა 40.127 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის როდესაც შესრულებულია ვადამდე — 31 აგვისტოს. საექსპლოატაციოდ გადაეცა 42.663 კვადრატული მეტრი ანუ 19 სახლი. გარდა ამისა, საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 სკოლა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული სამისა.

სამმართველოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადასცეს კიდევ 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები.

შეგვიძლია გაცნობოთ ჩვენი ბრიგადის მუშაობის მესამე კვარტალის შედეგებიც:

— გეგმა მანეთობით შესრულებულია 116,4 პროცენტით ანუ 180,4 ათასი მანეთისა.

— გამომუშავებამ ერთ მუშაზე შეადგინა 5.306 მანეთი, ანუ გეგმით გათვალისწინებულის 106,1 პროცენტი.

— ნორმების შესრულება უდრის 176 პროცენტს.

— შემოტანილია ოთხი რაციონალიზატორული წინადადება.

ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადა 2 წელიწადზე მეტია არსებობს. მასში 27 კაცია — სხვადასხვა სამშენებლო სპეციალობათა ადამიანები: მემონტაჟეები, კალატოზები, ხუროები, შემღესავები, ელექტროშემდუღებლები და სხვ. ახლა ემუშაობთ საცხოვრებელი მსხვილბლოკიანი სახლების მშენებლობაში.

ბრიგადის კოლექტივი სულ მუდამ ცდილობს შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება და გააუმჯობესოს მუშაობის ხარისხი.

ჩვენ ზამოვაყენეთ და განვახორციელეთ მსხვილპანელიანი სახლების მონტაჟის ახალი პროგრესული ტექნოლოგია. ასეთი მონტაჟის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მუშაობა სრულდება ოპერაციებად ერთი ტიპის ელემენტებით. მუშაობას სატრანსპორტო სამუალებებიდან საათობრივი გრაფიკით ერთდროულად აწარმოებს მემონტაჟეთა ორი რგოლი, ერთი კოზურა ამწე, რომელიც დეტალებს რიგრიგობით აწევდის ხან ერთ და ხან მეორე რგოლს („ქანქარას" მეთოდი).

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს, და ახლა ნამუშევრის ჰაღალი ხარისხის გარანტიას ვაძლევთ თვითეულ ახალმოსახლეს. ახლა თვითეული ახალმოსახლე ახალი ბინის გასაღებთან ერთად იღებს საგარანტიო პასპორტს.

ჩვენმა ბრიგადამ უკვე ჩაბარა 5 სახლი საგარანტიო პასპორტის გადაცემით.

მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ჩვენთან დიდი როლი ეკუთვნის ბრიგადირთა საბჭოს. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან კკარტალის გაშენებაში მონაწილე ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ისინი მსჯელობენ წარმოების ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, ყოველდღიურ ყურადღებას აქცევენ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას.

ბრიგადირთა საბჭოს სხდომებზე ჩვენ ვიწვევთ მთავარმოსმშენის და სხვა სუბმოიჯარე ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თქვენც დაგეხმარებათ მუშაობაში.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ასე გვესმის კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება: არ კმარა კარგად მუშაობდე, საჭიროა კულტურულადაც ატარებდე სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ბრიგადიდან ხუთი კაცი სწავლობს ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში. მუშაობის შემდეგ ვაწყობთ ექსკურსიებს საუნი მასალების ფაბრიკასა და ქარხანაში, სადაც ყოველთვის იმარჯება გაცხოველებული საუბარი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ან შრომის უკეთესი ორგანიზაციის საკითხებზე. კინოში, თეატრში, სტადიონზე წასვლა ყოველთვის სასიამოვნოა ამხანაგთან ერთად, რომელთანაც ყოველდღე მუშაობ წარმოებაში.

ძვირფასო ამხანაგებო!

სასიამოვნოა მიწერ-მოწერა გქონდეს ამხანაგებთან, რომლებიც მიისწრაფვიან ერთი მიზნისაკენ — იმუშაონ სულ უფრო და უკეთ, ყოველთვის ეძებდნენ რაღაც ახალს და პოულობდნენ მას.

ვიყოთ კომუნისტის მოწინავე მებრძოლნი — აი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი ცხოვრებაში.

მოლიანად ვუჭერთ მხარს თქვენს სურვილს ისწავლოთ სახლების მონტაჟი მსხვილი ბლოკებისაგან და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს შესანიშნავი ქალაქის თბილისის მშენებლობაში.

№ 1 ტრესტ „მოსმშენის" № 6 კომკავშრომულ-ახალგაზრდული სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის კოლექტივის დაკალებით:

**ბრიგადირი ბ. ლამოჩკინი,**
**პროფჯგუფორგი ი. პაროშინი.**

## მეჯიბრეობაში გამარჯვებულნი

**აბაშა**, 16 ნოემბერი. (საქდესი). მომდინარე წლის პირველ ნახევარში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის „საქსოფლტექნიკის" აბაშის სამანქანო-სამელიორაციო სადგურს კოლექტივს მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „სპქსოფლტექნიკისა" და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

აღფრთოვანებულმა სამანქანო სამელიორაციო სადგურას კოლექტივმა შეასრულა წლიური გეგმა.

## ინსტიტუტი, ბაღ-ვენახები, რეზერვები

### მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი

**მეხილეობა** და მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ყოველმხრივ უწყობენ ხელს მათ განვითარებას.

იშვიათია ისეთი მხარე დედამიწაზე, სადაც, ასე უხვად მოიპოვებოდეს ხეხილის ადგილობრივი ჯიშები, როგორც საქართველოშია. ჩვენში ცნობილია მარტო ორასამდე ვაშლისა და ასამდე ატმის ჯიში.*

1931 წელს ქ. თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის მეხილეობის საცდელი სადგური, რომელიც ამავე წელს გადაკეთდა საქართველოს მეხილეობის ზონალურ საცდელ სადგურად. 1932 წელს იგი გადატანილ იქნა გორის რაიონის სოფელ სკრაში.

შემდეგში, როცა მეხილეობის საცდელი სადგური შეუერთდა მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს, საცდელი საქმე მეხილეობაში უფრო მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დადგა. ერთ-ერთ დიდ მიღწევად მეხილეობის საცდელი საქმისა უნდა ჩაითვალოს ვაშლის, ატმისა, ბლისა და ქლიავის ახალი ჯიშების გამოყვანა, რომლებმაც საერთაშორისო გამოფენაზე დათვალიერებისას მაღალი ჯილდო — ოქროს მედლები მოიპოვეს.

1931 წელს ქ. თბილისში დაარსდა მევენახეობისა და მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. 1932 წელს ინსტიტუტი გადატანილ იქნა ქ. თელავში. აღნიშნულ ინსტიტუტში შედიოდა სამი საცდელი სადგური და დასაყრდენი პუნქტი.

ინსტიტუტმა ფართო მუშაობა გაშალა მევენახეობის ძირითად აქტუალურ საკითხზე. იგი ეწეოდა ჯიშთა გამოცდას, ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანას, ვაზის კვების საკითხების შესწავლას, ვაზის მავნებელ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ღონისძიებათა სისტემის დამუშავებას. დიდი და სასარგებლო მუშაობა წარმართა მეღვინეობის ტექნოლოგიის ხაზით და ღვინის ქიმიაში.

მრავალწლიანი მუშაობის შედეგად ინსტიტუტს გამოკვლეული აქვს საქართველოს რაიონები ენოლოგიის მხრივ ექსპერიმენტული მასალების საფუძველზე ჩატარებულია რესპუბლიკის დარაიონება საწარმოო მიმართულებისა და პროდუქციის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით, შესწავლილია ძვირფასი სამრეწველო ჯიშები (რქაწითელი, მწვანე, საფერავი, კაბერნე, ხიხვი, ალიგოტე, ჩინური, პინო, გორული მწვანე, ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, ალექსანდრიული, უსახელოური, ჩხავერი და ოჯალეში) ბიოქიმიური და სამეურნეო ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

შემუშავებულია კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინის დამზადების ახალი ტექნოლოგიური ხერხი ფერმენტირებული ჭაჭის გამოყენების საშუალებით.

საქართველოში ფართო პერსპექტივები აქვს დასახული შამპანურის წარმოებას. ამ მიმართულებით მეცნიერებმა წარმოების მუშაკებთან ერთად ჩაატარეს ფართო კვლევითი მუშაობა.

შამპანური ღვინო მასალების სიცივით დამუშავების ნაცვლად გამოყენებულია კათიონმცველი ფისები, მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა სწრაფად და იაფად მოვახდინოთ ღვინიდან ღვინისმჟავა მარილების მოცილება, პროდუქციის ამღვრევა ავიცილოთ თავიდან. ღვინის ქიმიის დარგში დამუშავებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

ინსტიტუტის მიერ შესწავლილი და დანერგილია მრავალი წმინდა კულტურები, შესწავლილია საქართველოს მეღვინეობის ძირითადი რაიონების საფუარა ფლორა და მათი ბიოქიმიური თვისებები, დამუშავებულია საფუარა წმინდა კულტურები ლაბორატორიაში და წარმოებაში გამოიყენების ახალი გაუმჯობესებული მეთოდები.

მიუხედავად ჩატარებული დიდი მუშაობისა, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ჯერ კიდევ ბევრი გადასაწყვეტი საკითხი აქვს.

ჩვენი ინსტიტუტის მუშაობის დიდ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ საგრძნობლად სუსტად ნერგავს იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებში თავის მიღწევებს. თუ ამის მიზეზების ძებნას შევუდგებით დაკრწმუნდებით, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღვით როგორც თვით მკვლევარებს, ისე წარმოებას. სუსტია მათი დაინტერესება და საქმისადმი წრფელი დამოკიდებულება.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხშირად ემპირიულ ხასიათს ატარებს. მეცნიერი მუშაკი ადგენს შიშველ ფაქტებს და არ ეძებს მიზეზობრივობას. ამან მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ ინსტიტუტმა ვერ შეძლო პრაქტიკულად გადაეწყვიტა მთელი რიგი საკითხები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ცდები წარმოებდა ეკონომიურად დაუსაბუთებლად, პრაქტიკისაგან მოწყვეტით, რაც წარმოებისათვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ყოველ კვლევას თან უნდა ახლდეს ეკონომიური დასაბუთება. უამისოდ უმართებული იქნება ცდით მიღებული შედეგების დანერგვა წარმოებაში.

კვლევითი მუშაობის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მისი წარმოება მიმდინარეობდა აქამდე სეპარატულად, მონათესავე დარგები ერთიმეორესთან არ იყო კომპლექსში, რაც ხელს უშლის საბოლოო დასკვნების გამოტანას. თემის კომპლექსური დამუშავება კი საშუალებას იძლევა საკითხი ყოველმხრივ იქნას შესწავლილი და საბოლოო პასუხიც მივიღოთ.

ახლა მთავარი ის არის, რომ მეცნიერებმა გამოხახონ პროდუქციის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების რაციონალური გზები, ფართობის ერთეულიდან უხვი და ხარისხოვანი პროდუქციის მიღების საშუალებანი.

მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე, რომელიც ემყარება ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, მოითხოვს კვლევითი მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას. მევენახეობისა და მეხილეობის კვლევით საქმიანობაში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული ამ დარგში უკვე არსებული კვლევითი მეთოდები და მიღწევები.

დღეს ჩვენ აღარ გამოგვადგება კარჩაკეტილი, ძველი მეთოდებით მუშაობა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად. საჭიროა დამყარდეს მჭიდრო კავშირი ამ დარგების სპეციალისტთა და წარმოების მუშაკთა შორის, მათთან ერთად ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიება უნდა გაიშალოს, რათა მოკლე ხანში მივცეთ წარმოებას საიმედო რეკომენდაციები.

**პროფესორი**
**ნ. ხომიზურაშვილი,**

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

### განვიხილავთ პროფესორ ე. ლიგერმანის სტატიას „გეგმა, მოგება, პრემია"

## როგორ შევაფასოთ?..

**ეკონომიურ** მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ე. ლიბერმანის სტატიამ „გეგმა, მოგება, პრემია", რომელიც გამოქვეყნებული აყო გაზეთ „ბრავდაში", მრეწველობის მუშაკთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ლიბერმანმა თავის წერილში მრეწველობის ცალკეული დარგების დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მეტად საინტერესო საკითხები წამოაყენა. ზოგიერთ მათგანზე გვანდა ჩვენი აზრი გამოვთქვათ.

ამა თუ იმ წარმოების მუშაობის შეფასება ხდება საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების მიხედვით, ხოლო რაც შეეხება გეგმის შესრულებას პროდუქციის ცალკეული სახეების მახედვით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას — ყველა ეს საკითხი მეორეხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული წარმოების მუშაობის შეფასებისას, რაც არასწორია. ეს მეთოდი მაგნე გავლენას ახდენს წარმოების გაფართოებაზე, ცალკეული სახეების მიხედვით პროდუქციის გამოშვებას დავალებათა შესრულებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, რაც იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას მხმარი ზოგიერთი პროდუქციის სიმცირის გამო.

ჩვენი რესპუბლიკას სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს გამგებლობაში არსებულმა საწარმოებმა შარშან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს. სწორედ ამ საერთო გეგმის უკან თავს იყრის ამ საწარმოების ცუდი მუშაობის ფაქტები, რაც ხშირად შეუმჩნეველი რჩება. საქმე ის არას, რომ ამ საწარმოებმა, მართალია, საერთო გეგმები შეასრულეს, მაგრამ დაუშვეს ძირითადი და დამხმარე მასალების გადახარჯვა. შესაჩნევია პროდუქციის თვითღირებულების ზრდაც. ამ საწარმოთა მუშაობის შეფასებისას ეს ნაკლოვანებანი უკან დარჩა, რაც არასწორი და მავნეა საქმისათვის. ვის რათ უნდა გეგმას ასეთი შესრულება?

თბილისის ავეჯის კომბინატმა შარშან საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო გეგმა შეასრულა, მაგრამ 1.028 კუბმეტრი დასახერხი მორი და 1.729 კუბმეტრი დახერხილი ხის მასალა გადახარჯა. ასეთივე გადახარჯვები აყო ქუთაისის საავეჯო ფაბრიკაში, ბათუმის ხის გადასამუშავებელ და ცხ

# ცეცხლში გამოწრთობილნი

ათას ცხრაას ორმოცდაერთი წელი. ცეცლის ალი მოედო მშობლიურ მიწაწყალს. ზარბაზნები გრიალებენ ბრძოლის ფრონტებზე. ცეცხლის ალში იწრთობა მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცი, რომელთა გმირობა ოქროს ასოებით აღიბეჭდა დიდი სამამულო ომის მატიანეში.

ათასობით არტილერისტი ორდენებით დაჯილდოდა. 1.800 კაცს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. სამშობლოს გმირ დამცველთა რიგებში იყვნენ ქართველი არტილერისტებიც, რომლებიც ომის პირველი დღიდანვე უშიშრად ურტყამდნენ მოწინააღმდეგეს. მარტო მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში ჩვენმა არტილერისტებმა მტრის 1.500 ტანკი მოსპეს, ვოლგოგრადთან კი 1.600.

მახსოვს 1941 წლის ზაფხულის მძიმე დღეები. მიუხედავად დიდი ზარალისა მტერი ცეცხლათა და მახვილით წინ მოიწევს. საბჭოთა არმია თავდაცვითს ბრძოლებს აწარმოებს. შეუდრეკლად იბრძვიან არტილერისტები, რომელთა მამაცობას მაღალი შეფასება მიეცა. აი ერთი იმთგანი — პოლკოვნიკი კოსტანტინე ლესელიძე. იგი ივლისში წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვეს და მაშინ გაზეთებში დაიბეჭდა პირველი კორესპონდენცია არტილერისტ კ. ლესელიძის სახელოვანი ბრძოლის შესახებ. მაშინ წერილებში ეწერა მისი ვაჟი ოთარიც, რომელიც დღეს საარტილერიო ქვეგანაყოფის ოფიცერია.

სამამულო ომის ფრონტზე ბრძოლებში თავი ისახელა საარტილერიო დივიზიონის მეთაურმა ვლადიმერ ხარაზიამ. ეს იყო 1942 წლის 16 მაისს. ფაშისტთა ტანკები შეტევაზე გადმოვიდნენ. ცეცხლის ალი მოედო მიწას, თავგანწირულად იბრძოდნენ ხარაზიას არტილერისტები. უთანასწორო ბრძოლაში ბევრი არტილერისტი დაეცა. დაეცა ვლადიმერ ხარაზიაც, რომელსაც სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

1942 წელი. შემოდგომა. დარიალის ხეობაში განუწყვეტლივ სკდება ყუმბარები. მიუვალ კედლად აღმართული ქვემეხების ლულები ერტყამენ ფაშისტებს, მათს საბრძოლო ტექნიკას.

ვინც ნოემბრის პირველ რიცხვებში ქ. ორჯონიკიძის ახლო ყოფილა, არ შეიძლება არ ახსოვდეს აღმოდებული ტანკები, ჩანგრეული ჯავშანტრანსპორტიორები, აფეთქებული მიწურები. ეს იყო საბჭოთა არტილერიის მიერ „დამუშავებული“ ჰიტლერელთა სანაქებო ტექნიკა.

კავკასიონთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა ასობით არტილერისტმა. გმირობისა და მამაცობისათვის მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ და ლენინის ორდენი გადაეცა არტილერისტ ალექსი პირმისაშვილს. ცხარე ბრძოლებში შესანიშნავად ურტყამდა იგი მტერს, მის მიერ გასროლილმა ყუმბარამ სიცოცხლეს გამოასალმა ფაშისტი გენერალი.

შეუპოვრად მიიწევს წინ საბჭოთა არმია, მისი სახელოვანი არტილერია. კავკასიონიდან ზარბაზნები ქუხილით კარპატებში გადავიდნენ. ქვემეხები გრიალებენ ბუგზე, დნეპრზე, დონაიზე. გამარჯვების დროშები ფრიალებენ განთავისუფლებულ მიწაზე. ამ გამარჯვების მონაწილეა საარტილერიო პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, მაიორი გალაქტიონ ალფაიძე. მან შესანიშნავი საბრძოლო გზა განვლო.

ისე როგორც პირმისაშვილი, ხარაზია, ალფაიძე, სამამულო ომში გმირულად იბრძოდა ასობით ქართველი არტილერისტი, მათ შორის გეთია, გიფრინდაშვილი, ჩიჩუა, დათეშიძე, ბუაჩუძეა და მრავალი სხვა.

ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა არტილერისტების გმირობას.

დღეს საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი სახელოვანი არტილერისტების გმირობითა და მამაცობით. ავალებს მათ ფხიზლად იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე, გამანადგურებელად ურტყან ყველას, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს ჩვენს მშვიდობიან შრომას.

**მაიორი ვ. მექვაბიშვილი.**

# მას დაემორჩილებიან მრისხანე ზარბაზნები

ღაძინებისას შოთა ბაიაძე გასულ დღეზე ფიქრობდა. ამ დღეს ასრულდა მისი სანუკვარი ოცნება: ჭაბუკი თბილისის წითელდროშოვან საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი გახდა.

საშუალო სკოლაში პირველთა შორის იყო, კარგად სწავლობდა, გატაცებით კითხულობდა წიგნებს დიდი სამამულო ომის მებრძოლთა საგმირო საქმეებზე. საქართველოს სახელოვანი შვილების მამაცობა და გმირობა ჭაბუკს უნერგავდა მისწრაფებას თვითონაც გმირობა გამოეჩინა. სწორედ მაშინ, რამდენიმე წლის წინათ, შოთას აღეძრა სურვილი გამხდარიყო სამხედრო, ოფიცერი, მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა კეთილშობილური მიზნისათვის, ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის მშვიდობიანი შრომის დაცვისათვის.

და აი ოცნება განხორციელებულია. იგი კურსანტად ჩარიცხეს. მას მუნდირი, ჩექმები აცვია, სამხედრო ქუდი ხურავს. მას დაემორჩილებიან მრისხანე ზარბაზნები. იგი მათი ბატონ-პატრონი იქნება, თუ ... თუ კარგად, ზედმიწევნით შეისწავლის საარტილერიო საქმეს, თუ შეძლებს გამოიცნოს ყველა მისი „ხაიდუმლობა“.

სადაც უნდა იყოს კურსანტი შ. ბაიაძე — სასწავლო კლასში, საარტილერიო პარკში, მინდვრად თუ პოლიგონზე, ყველგან იჩენს ბეჯითობას სწავლაში, ღრმა ცოდნას, მხედრულ უნარს.

— მცოდნე, ჭკვიანი ბიჭია. ბაიაძისაგან ნამდვილი ოფიცერი გამოვა, — ერთსულოვნად ამბობენ მის შესახებ სასწავლებლის მეთაურები და მასწავლებლები.

ეს ძალას მატებს ჭაბუკს. იგი ცდილობს მიბაძოს უფროს თანამოიარაღე ამხანაგებს — იყოს ისეთივე მამაცი, მიმხვედრი, ამტანი მეომარი, როგორიც არიან სახელოვანი ფრონტელი არტილერისტები.

იმ დღეებში, როცა საერთაშორისო ვითარება გამწვავდა კუბის წინააღმდეგ ამერიკელ იმპერიალისტთა პროვოკაციის გამო, კურსანტმა შოთა ბაიაძემ, ისევე როგორც თბილისის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის მთელმა პირადმა შემადგენლობამ, განაცხადა: შენთან ვარ, მშობლიურო პარტიავ, მზად ვარ შეასრულო სამშობლოს ყოველი ბრძანება.

და ახლა, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — არტილერიის დღეს რომ ეგებება, — უბრალო ქართველი ჭაბუკი, რომელმაც ცხოვრებაში ნათელი მიზანი აირჩია, ერთხელ კიდევ აძლევს პირობას მშობლიურ პარტიას: იგი, ისევე როგორც მისი ამხანაგები არ შეანელებს ღონისძიებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალ ხარმატებათა ძიებაღწევად. ემსახურება სამშობლოს, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა, როგორც გვიბრძანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

**ლ. ლარინი.**

• • •

**სურათზე:** შოთა ბაიაძე.

ფოტო ე. ბარშახისა და ე. ბელაშოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღარიბი მილიონერები

## შრომა უფრო ლამაზი და სახალისო რომ იყოს

წერილის ეს სათაური მკითხველს შეიძლება უცნაურად ეჩვენოს, მაგრამ დავარწმუნებთ, რომ ლაგოდეხის რაიონში მდიდარი მილიონერი კოლმეურნეობებიც არსებობს და ღარიბი მილიონერებიც. პირველებს ვაქებთ, ვადიდებთ, ხოლო მეორეებს ნამოღვაწარს ვუწუნებთ, ვკიცხავთ.

სოფელი ულიანოვკა, ალაზნის მარცხენა მხარეს რომ მდებარეობს, დიდი ოქტომბრის პირმშოა. იგი არსებობის ორმოც წელიწადს ითვლის. ქართველებმა, რუსებმა თუ სხვებმა ავადმოსაგონარ გადამთიელთა მიერ გადაბუგულ, ადგილებში ძეძვი და ჯაგი გაკაფეს, მიდამო ნანგრევებისაგან გაწმინდეს და ნასოფლარზე სოფელი გააშენეს.

ახლადდასახლებულთა წინსვლის გზა ია-ვარდით როდი იყო მოფენილი. კვი, ითხი თუ ბარი სასიხარულო ნაყოფს არ იძლეოდა, სოფელს უჭირდა. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, კოლექტივის ძალამ, მშობლიური კომუნისტური პარტიის დიდმა ზრუნვამ სოფელი ააყვავა, სიღარიბე წარსულს ჩაბარდა. ახლა ულიანოვკაში კომუნიზმის დიადი კანონი — ყველაფერი ადამიანისათვის — მბრძანებლობს.

კოლმეურნეობას ყველაზე მეტად თამბაქოს პლანტაციები ამდიდრებს. წელს გეგმით 130 ტონა თამბაქო უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს, მაგრამ გეგმას ვინ უყურებს, 250 ტონაც კი მცირედ მიაჩნიათ. ახლა მარცვლეულს არ იტყვით? თვითეულ ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი ხორბალი მომკეს, ნავარაუდევი კი თვრამეტ ცენტნერზე მეტი არ იყო. ულიანოვკელები „მინდვრის დედოფალმაც“ გაახარა, ჰექტარზე საშუალოდ სამოცი ცენტნერი მიიღეს. მეცხოველეობის ფერმებში პირუტყვის სიმრავლეა. წელს კოლმეურნეობის სალარო ექვსასი ათას მანეთზე მეტ ფულს დაითვლას.

კარგია, ვამბობთ, ულიანოვკელებს მარჯვენას ვულოცავთ და სოფლის ყოფაცხოვრებას ვეცნობით. ისარივით გატყორცნილი შარაგზების გაყოლებით ორსართულიანი სახლებია ჩამწკრივებული. უწინ უწყალო სოფელში ახლა ირტეზიული ჭების ნაკადულები გადმოჩქეფს. კოლმეურნეთა ოჯახებს ილიჩის „შუქი“ ანათებს... კოლმეურნეობის კანტორა, სასოფლო საბჭო, ფოსტა, ახლად აშენებულ ვეებერთელა შენობაშია მოთავსებული. კულტურის სახლს მალე გახსნიან, დარბაზი ოთხასზე მეტ მაყურებელს დაიტევს. ლენინგრადიდან ფოტოეკრანიანი კინოს მოწყობილობა მიიღეს.

წმალი რომ დასჭირდებოდათ, ულიანოვკელები ლაგოდეხში მიდიოდნენ. კოლმეურნეობამ აფთიაქისათვის ფართო და ლამაზი შენობა ააგო. აღარც პირის გასარსა უჭირთ. ისეთი საპარიკმახერო მოაწყეს, რომ ზოგჯერ მარტო ულიანოვკიდან კი არა, რაიონის ცენტრიდანაც იქ მიდიან „გასალამაზებლად“. ახლად აგებულ ფართო და ლამაზ მაღაზიაში კოლმეურნეები დიდძალ სამრეწველო და სასურსათო საქონელს ყიდულობენ.

ულიანოვკის კოლმეურნეობა ნამდვილად მდიდარი — მილიონერია.

ცოდნისკარი. რაიონში კოტა ან სხდომა ისე არ ჩატარდება, რომ ამ სოფლის კოლმეურნეობა არ აქონ. მის მესვეურეს გაზეთები თუ ჟურნალები ხოტბას ასხამენ. ჩვენც ვამბობთ, რომ ცოდნისკარელები ხვავსა და ბარაქას ამრავლებენ. შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 707 ათას მანეთს გადაამეტა. წელს მილიონს ვარაუდობენ.

გვინდოდა კოლმეურნეობის ეკონომიკას დაწვრილებით გვცნობოდით. სოფლის მთავარ გზას ავუარეთ და ჩავუარეთ მაგრამ კანტორას ვერ მივაგენით. რას ვიფიქრებდით, რომ სოფლის საკრებულო. თავკაცების ადგილსამყოფელი ბუდრუგანაში იქნებოდა მოთავსებული. კიბეზე ასვლა საშიშია, სახურავი ჩამოძონძილია. ოთახებში, რომ იტყვიან თაგვი კუდს ვერ მოიქნევს.

„არ ამენდა“. არ გეგონოთ, რომ ლაგოდეხის რაიონში ეს სახელი სოფელს ან უბანს ერქვას. იგი ცოდნისკარის კულტურის სახლს შეარქვეს. მას ექვსი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მის შემდეგ შენდება და ვერ აშენდა. საკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი შეინინშვილს მიზეზი არ დაელია. ხან ფიცარი არა აქვს და ხან ლურსმანი, ხან საღებავი და ხან ელექტროსადენები.

ცოდნისკარი. ნამდვილად გვეგონა, რომ ეს სახელი სწავლა-განათლების მაღალ დონეზე დაყენებით იყო დანათლული. ვიხეთი რვაწლიანი სკოლა, მაგრამ რა ვნახეთ? მისი „სიმშვენიერის“ აღწერა ნამდვილად გვიჭირს. ბოძკინტებზე შესკუპებულ ერთ პატარა ოთახში, რომელსაც კედლები ჩამონგრეული აქვს და ფანჯრები ჩამტვრეული, მეზუთე კლასი მეცადინეობს, აქვეა მოთავსებული ბიბლიოთეკა ღა პაიზერთა ოთახი. მისგან მოშორებით დგას ორი პატარა ფიცრული შენობა, ექვსი საკლასო ოთახით. თვითეულ ოთახში 5-6 მერხზე მეტი ვერ ეტევა, თვითეულზე სამი ბავშვი ზის. ეზოში სახელოსნო მოუქოხიათ. მას იატაკი არა აქვს, ბავშვებს მტვერი აწუხებთ.

— თუ ფიქრობენ კოლმეურნეობის თავკაცები სკოლის შენობის აგებაზე?

სკოლის დირექტორმა ვალერიან ლომიძემ უკმაყოფილოდ გაიღიმა და თქვა:

— არა, ამ „პატარა“ საქმეზე ჯერ არავის უფიქრია. კოლმეურნე იოსებ მაჯარაშვილმა ეერ წელარაფში თორმეტოთახიანი ბინა აიშენა. მასწავლებლები და მოსწავლეები კმაყოფილი იქნებოდნენ, რომ ერთი ასეთი შენობა კოლმეურნეობას სკოლისათვის აეგო.

საექიმო უბნის შენობას ვათვალიერებდით. კედლებს ჭუჭყი „ფუჩეხებს“, მინებჩამტვრეული ფანჯრებიდან შემოჭრილი ნიავი თავისუფლად დანავარდობს. ექიმის კაბინეტში სიმინდი ყრია, წაუღიათ, მაგრამ ნაგვის გატანა „დაგიწყებიათ“. სტომატოლოგის ე. წ. კაბინეტი ხარა-ხერეთი არის სავსე. გვითხრეს, ექიმად გ. ჯაფარიძე მუშაობსო, მაგრამ მას ცოდნისკარელებიც ვერ ნახულობენ და ჩვენ სად მივაგნებდით?

სასადილო. თუ კაცი ორი-სამი დღის მშიერი მაინც არ არის, იქ არ შეგა. კედლები დანგრეული, სამზარეულო ობრეული, ინვენტარი დანჯღრეული, სიბინძურე, ალო-ბუზი. აი რა ვნახეთ იქ.

ჭის წყალი. თუ გაჭირვება არა, მას კაცი არ დალევს. იგი ადვილად ბინძურდება. ცოდნისკარელებმა გადაწყვიტეს „გელათის სათავიდან“ მთის ანკარა წყალი გაეყვანათ. თვითეულმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საამისოდ 30 მანეთი გადაიხადა (?!), ხართჯალი-რიცხვა შეადგინეს, მილები იშოვნეს, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს. ლაგოდეხის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო საბჭოს ხელმძღვანელობა მიზეზად მუშახელის უყოლობას ასახელებს.

თამბაქოს საშრობ ფარდულში კოლმეურნეები თამბაქოს ფოთლის აცმაზე მუშაობდნენ. მამაკაცებს წვერი გასაპარსი ჰქონდათ. ერთ მათგანს მიზეზი კკითხეთ. გიიცინა და გვითხრა:

კოლმეურნეობას საპარიკმახერო ჰქონდა. თამბაქოს საშრობი ფარდულის გასადიდებლად სხვა ადგილი ვერ გამონახეს, საპარიკმახერო დაანგრიეს. სამაგიეროს გვპირდებიან, მაგრამ საქმეს არა ეშველა რა. პირის გასაპარსად ლაგოდეხში გვიხდება წასვლა.

**ყველაფერი** ადამიანისათვის. კრებაზე ისე არ გამოვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კაპანაძე, რომ ეს სიტყვები რიხით არ წარმოთქვას, მაგრამ ვერ ეტევა. ამიტომ ვამბობთ, რომ ცოდნისკარის კოლმეურნეობა ღარიბი მილიონერია.

ყარსუბნის კოლმეურნეობა „პრავდა“. იგი წინანდებურად ჩამორჩენილი აღარ არის. ნაყოფიერი ველ-მინდვრები ბეჯითი შრომის შედეგად უხვ დოვლათს იძლევა. შარშან მარტო ფულად 459 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს. წელს ექვსასი ათას მანეთს გადაავამეტებთო, განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ფ. ხუციშვილმა.

ახლა ვნახოთ, რას აკეთებენ იმისათვის, რომ შრომა უფრო ლამაზი და სახალისო იყოს. წინასწარ ვამბობთ, ძალიან ცოტას. კოლმეურნეთა სახლები შარაგზის გაყოლებით მდებარეობს. ავტომანქანა რომ გაიგოს, სოფელში მტვრის კორიანტელი დგება. ვაზი თუ ხეხილი მტვრით არის დაფარული. ცეკ ამინდში სოფელს ტალახი აწუხებს. კოლმეურნეებმა მოითხოვეს, რომ გზა მოეასფალტებინათ. გამგეობამ ერთხანს ყურადღება სამართლიანი მოთხოვნა. გზებზე ხრეშიც დააყარეს, მაგრამ ასფალტის დაგება ვერ მოახერხეს.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ყარსუბნელებს სოფლის ცენტრში აბანოს ავება გადაეწყვიტიათ, კედლები აუშენებიათ, მაგრამ სახურავი არ გაუკეთებიათ და დანგრეულა. ახლა სხვა ადგილას დაუწყიათ აბანოს მშენებლობა. კედლები აუშენეს, დახურეს კიდეც, მაგრამ ადის წლები და შიგ ბანაობას ვერავინ ეღირსა. ვერა და ვერ დაამთავრეს აბანო. კოლმეურნე პლატონ გოგოლაძემ თქვა:

— ჩვენი აბანო ნამდვილად „სურამის ციხე“ გახდა. ალბათ კოლმეურნეობის გმგეობა დედისერთა ზურაბს ეძებს.

კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე არცერთი კოლმეურნე არ იტყვის სიტყვას, რომ საპარიკმახეროს შესახებ არ ილაპარაკოს, მაგრამ „ყურსა ბამბისასა“ ჯერ ვერაფერი შეასმენეს. ალბათ ინჟინრებსა და არქიტექტორებს „ეძებენ“.

სოფლის ცენტრს კლუბის შენობა „ამშვენებს“. იგი „მტერს“ არც გარეთ-დან უყურებს თვალებს და არც შიგნიდან. ჩამონგრეული კედლები, უხეირო ჭერი. კარგი აქ არაფერია. მისი შეკეთება საძნელო არ არის, მაგრამ მოთავე არა ჩანს.

საშუალო სკოლის შენობა ოცდაშვიდი წლის წინათ აუგიათ. მაშინ იგი სრულიად საკმარისი ყოფილა, მაგრამ ახლა? ოც კლასს ათ საკლასო ოთახზე მეტი არა აქვს. მასწავლებელმა ე. ნოხაძემ გვითხრა:

— მე მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ სკოლის შენობისათვის მეორე სართული უნდა დაედგათ, მაშინ ეს ვერ მოახერხეს.

— კი მაგრამ, თუ წინათ არა, ახლა მაინც რატომ არ ფიქრობს კოლმეურნეობის გმგეობა ამ საქმეზე?

ბევრი სხვაც გვინდოდა გვეოქვა, მაგრამ კმარა. ყარსუბნის კოლმეურნეობა ნამდვილად ღარიბი მილიონერია.

თამბაქო, სიმინდი, ხორცი, რძე. არცერთი არ ავიწყდებათ პარტიის ლაგოდეხის რაიკომიდან და რაისაბჭოს აღმასკომიდან ცოდნისკარში, ყარსუბანში თუ სხვა სოფლებში მისულ მუშაკებს. ეს კარგია, შედეგი სასიხარულოა, მაგრამ სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, წყალი, გზა?.. ეს ვიღას უნდა გაახსენებს?

— ყველაფერი ადამიანისათვის, კოლმეურნეობის ამ კანონს განხორციელება უნდა, ლაგოდეხელებო!

**ს. ქოჩლაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# სპეკულანტი საზოგადოების მტერია

**ემოდგომის** კარგი დღეები ია ციტრუსოვანთა ბაღლანტაციებში. ეს რამდენიმე დღეა „ოქროს რთველია“ გაჩაღებული გურიის ნარინჯოვნებში. მახარაძის და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რამდენიმე ათასი ტონა ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი უნდა დამზადდეს. მოწინავე მეციტრუსეები სანაქებოდ შრომობენ და საუკეთესო შედეგსაც აღწევენ. მნახველის გულს ახარებს ურეკის და ნატანების ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობების პლანტაციები. ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული მცენარეები დიდებულ სანახაობას წარმოადგენს.

სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ამ სეზონში 30 მილიონ ცალამდე ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი დამზადდება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 მილიონი ცალისა. ნატანებელი მეციტრუსეები შეუდგნენ ციტრუსოვანთა კრეფა-დამზადებას. ეშვი არ არის სასახელოდ გაანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას.

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც გაჩაღდა ციტრუსოვანთა კრეფა, მაგრამ უკვე გამორჩნდნენ უპატიოსნო ადამიანები, მტაცებლები, გადამყიდველები, რომლებიც ყოველგვარ მაკინაციებს მიმართავენ საკუთარი ჯიბის გასქელებისათვის.

სოფელ ნატანების მცხოვრები ლ. ჩიგოგიძე კოლმეურნეობას სათოფედ არ ეკარება, თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას. ამ დღეებში ლ. ჩიგოგიძე სადღაც გაქრა, რამდენიმე დღე სოფელში არც კი გამოჩენილა. საქმე ისე მოუბზარაებია, რომ ქობულეთის რაიონში, თამოქმის მილიციის რაიონული განყოფილების ცხვირწინ, ყველასგან შეუმჩნევლად შეუსყიდია 700 კილოგრამზე მეტი მანდარინი და მოხერხებულად ჩაუწყვია სამგზავრო მანქანა-დიზელში, რომელიც მოძრაობს ბათუმ-ბაქოს მარშრუტით. მაგრამ სპეკულანტს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ჩიგოგიძე ჩვენი რესპუბლიკის გარეთ გასვლისას შეპაყრეს...

ვახტანგ გიორგის-ძე კუნქულია, პარმენ ალექსანდრეს-ძე ბაქანიძე — აი ისინი, ვინც ღამით ნატანების კოლმეურნეობის ბაღში რამდენიმე ასეული კილოგრამი მანდარინი მოიპარა და გასაყიდად გაამზადა. მაგრამ ჭურდს ხელი მოეცარათ, ისინი ადგილზე შეიპყრეს. დ. ბაქანიძეს ჰ. კუპრაძის მსუბუქი მანქანა „მოსკვიჩი“ სურდა ციტრუსების წაღება სასპეკულაციოდ, მაგრამ დანაშაულზე წაასწრეს, მისი საქმე გამოააშკარავეს, თუმცა ეს დამნაშავეები ჯერჯერობით დაუსჯელი არიან. საინტერესოა, ვინ მფარველობს მათ?

პატარა სოფელი ომფარეთი ნარინჯოვნებით არის განთქმული მთელ ლანჩხუთის რაიონში. ეს საკმაოდ მაღალი ადგილია, შავ ზღვას გადაყურებს. აქედან ხელისგულივით მოჩანს პალიასტომის ტბა, თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი. შავი ზღვის პირა მთელი ეს უბანი ციტრუსოვანთა ბაღებშია ჩაფლული. ბუნების მიერ ასე უხვად დაჯილდოებულ ლამაზ სოფელში, სამწუხაროდ, ცოტა როდია ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ პირად კერძომესაკუთრულ ნაკუთში მომწყვდეულან და საზოგადოებრივი მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემას ცალი ყურით უსმენენ. პირად კაპიკებს საზოგადოებრივ მილიონებზე მაღლა აყენებენ. რით უნდა ავხსნათ მამია ივანეს-ძე აბრალავას მოქმედება? მან საგანგებოდ შეიძინა რამდენიმე ასეული ხეს ყუთი, ნაადრევად მოკრიფა 2.500 კილოგრამი ჯერ კიდევ მწვანე მანდარინი და რუსეთის სხვადასხვა ბაზრებზე წასაღებად გამზადა.

ჩვენ ადგილზე ვნახეთ მ. აბრალავას კარმიდამო. ორსართულიანი ოდასახლის პირველი სართული სულ მანდარინის ნაყოფით იყო სავსე. არ გველოდა, სახტად დარჩა მასპინძელი.

— შე კაი კაცო, გვითხარი მაინც, სად მიგაქონდა ეს ციტრუსები, ასე სანიმუშოდ რომ შეგიფუთავს, — გაკვირვებით ეკითხება ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ებრალაძე.

— რუსეთის რომელიმე ქალაქში, სადაც უფრო მეტ ფასს მომცემენ, — ურცხვად განაცხადა მან. მეტი რა გამაჩნია, მანდარინია ჩემი მარჩენალი.

ჩვენში გაკვირვებას იწვევს მასპინძლის უხეიარო წუწუნი, როდესაც შეეყურებთ მის მდიდრულ კარმიდამოს, ორსართულიან საუცხო ოდას, სხვა დამხმარე ნაგებობებს. ერთი სიტყვით, მისი შეძლებული ოჯახი თითით საჩვენებელია მთელ სოფელში.

# კაცმა სძლია სიკვდილს

სამუშაო საათები დიდი ხნის დამთავრებული იყო, როცა ის საოპერაციო ოთახიდან გამოვიდა. შუბლი ოფლის წვეთებით ჰქონდა დაფარული. რაიონული საავადმყოფოს გაჩირაღდებულ დერეფანში შევხვდით ერთმანეთს. გულთბილად მომესალმა და პატარა, მაგრამ ნათელ კაბინეტში შემიძღვა.

— ეტყობა ძნელი ოპერაცია იყო, — ვკითხე ოთახში შესვლისას.

— არც ისე, ერთ-ერთი რიგითი, — თქვა მან და შუბლი შეიმშრალა.

ვიჯექი და თვალს ვერ ვაშორებდი მის მკვრივ აღნაგობას. აი მისი ხელები, ძარღვიანი, მამაკაცური ხელები. ვინ იცის, რამდენი ადამიანისათვის დაუბრუნებიათ სიცოცხლე, რამდენი დამაშვრალისათვის მიუნიჭებიათ შვება. „ადამიანისათვის ყველაფერზე ძვირფასი სიცოცხლეა“, გამახსენდა ოსტროვსკის სიტყვები.

— თქვენ სდარაჯობთ ადამიანის სიცოცხლეს, ექიმი ხსნა და იმედია.

— ეს ერთ-ერთი ფაქტორია, — ამბობს ექიმი. — ბევრ ადამიანს ეხმარებიან ექიმებთან ერთად ექთნები, ბებიაქალები, ლაბორანტები, ფელდშერები. ეს ერთ-ერთი ფაქტორია. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, — ... ეს ... ეს ... ეს

# სიმღერის უკვდავება

## ნიკო ქუმსიაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

დღეს, ქართული საბჭოთა ვოკალური კულტურის სასიქადულო წარმომადგენლის ნიკო ქუმსიაშვილის დაბადების 70 წლისთავზე, გვინდა მოვიგონოთ ამ შესანიშნავი მომღერლის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი შემოქმედებითი გზა.

ძუმწად დაწერილ ავტობიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ ბავშვობის წლები ნიკომ გაატარა სოფელ ზემო ორხევში, სადაც იგი დაიბადა 1892 წელს. მამამისს, ცნობილ მეცხვარე გიორგი ქუმსიაშვილს, თავისი ბატარა ვაჟი ხშირად ცხვარში დაჰყავდა. პაწია ნიკოსაც მოსწონდა მწყემსებთან ყოფნა, ფშაური ენამახვილი ბაირ-ლექსებისა და შთამბეჭდავი სიმღერების მოსმენა და კმაყოფილი იყო თავისი ხვედრით. ტოლ-ამხანაგებისაგან ნიკო არაფრით არ განსხვავდებოდა და არც რაიმე განსაკუთრებულს ამჟღავნებდა.

უდარდელმა წლებმა განვლო. ნიკო შეუდგა სწავლას თიანეთის სამრევლო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ბუნების წიაღში აღზრდილ ბავშვს სურვილი აღეძრა შეესწავლა სოფლის მეურნეობა და წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში შეიყვანა. აქ ნიკოს ყურადღება მიიქცია მეღვინეობა-მებაღეობამ, რომლის ღრმად შესწავლის მიზნით იალტის მეღვინეობა-მებაღეობის სასწავლებელიც დაამთავრა და იმოგზაურა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1914 წელს დაბრუნდა საქართველოში და თავისი სპეციალობით დაიწყო მუშაობა. პარალელურად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

ქუმსიაშვილი უკვე 22 წლის ჭაბუკი იყო. წლები გადიოდა და ხმის დამუშავებაზე ნიკო მაინც არ ფიქრობდა. შესაძლებელია არც შემდეგში ეღალატა თავისი საყვარელი პროფესიისათვის, რომ ბედს არ გაეღიმა და არ შეხვედროდა დიდ ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნიკო ქუმსიაშვილის შემოქმედებით ცხოვრებაში. გულისხმიერი კომპოზიტორის რჩევით ნიკო პროფესორ რიადნოვთან მივიდა. გამოჩენილი პედაგოგი მოხიბლა ნიკო ქუმსიაშვილის ვოკალურმა მონაცემებმა და დიდი ხალისით შეუდგა მასთან მეცადინეობას. ნიჭიერმა მოწაფემაც საოცარი შრომისუნარიანობა გამოამჟღავნა, რამაც ბრწყინვალე შედეგი გამოიღო.

აქვე უდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში ნიკო ქუმსიაშვილს უბადლო ქართველმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა მოუსმინა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. საგულისხმოა, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში ნიკო ქუმსიაშვილი შვიდი როგორც ვანო სარაჯიშვილის ტრადიციების განმტარებელი მომღერალი-მსახიობი. საოპერო სცენაზე ვანო სარაჯიშვილი პირველმა ნიკო ქუმსიაშვილმა შეცვალა, რაც შემდეგ ვითარებაში მოხდა.

20-იან წლებში ქართული ოპერის თეატრი ეროვნული კადრების მხრივ სიღარიბეს განიცდიდა. შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო იმით გამწვავდა, რომ ასეთი კრიზისის დროს ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა. დიდი მომღერლის უდროოდ დაკარგვას მთელი ერი გლოვობდა. „ყველაზე მეტი გლოვა და საჭირო სუფლო გოდება ჩვენს კომპოზიტორებს ჰმართებთ. მათ დაკარგეს ისეთი მესაიდუმლე, რომლისთანაც შეიძლება ათეულმა წლებმა ვერ წარმოშვან“ — წერდა ქართული კულტურის ერთ-ერთი გულშემატკივარი. ამ წერილში მთელი ქართველი ხალხის აზრი იყო გამოთქმული.

ასეთ რთულ ვითარებაში მოხდა ნიკო ქუმსიაშვილის პირველი გამოსვლა თბილისის ოპერის სცენაზე. ეს იყო 1924 წლის 24 ნოემბერს, ვანო სარაჯიშვილის დაკრძალვიდან 10 დღის შემდეგ. დიდება ოპერა „დაისი“. სპექტაკლი, რომელმაც ზღვა ხალხი მიიზიდა, დებიუტანტის გამარჯვებით დამთავრდა.

„დაისში“ გამოსვლის შემდეგ ნიკო ქუმსიაშვილმა აბესალომის პარტია შეასრულა. აქ უფრო ნათლად გამოვლინდა მისი მდიდარი ხმის დამახასიათებელი თვისებები — ფართო დიაპაზონი განვითარებული მაღალი და ხავერდოვანი დაბალი ბგერებით, მჭექარე ფორტე და მიმქრალი პიანისიმო, მკაფიო დიქცია, მაღალ ნოტებზე ბგერის ფილირების ოსტატობა და ფრაზების დახვეწილობა. ამ შესანიშნავ თვისებათა წყალობით მან შეძლო მრავალი საოპერო ნაწარმოებების მთავარ გმირთა თვალსაჩინოდ განსახიერება.

სიმღერის ქართული იერიანობა განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა ნ. ქუმსიაშვილს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში.

პირველ ხანებში ნ. ქუმსიაშვილი ამ ორ ქართულ ოპერაში გამოდიოდა და დღითიდღე იზრდებოდა, ეჩვეოდა სცენას და მხატვრული სახის შექმნის მაღალ ოსტატობას.

1925 წლიდან ნიკო ქუმსიაშვილმა რუსულ და ევროპულ ოპერებში დაიწყო გამოსვლა. აბესალომისა და მალხაზის გვერდით გერმანის, რადამესის, ოტელოს, კანიოს, რაულის, ელიაზარის, მანრიკოს და სხვა რთული პარტიები მისი შესრულებით მუდამ ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებდა.

აღსანიშნავია, რომ მის რეპერტუარს ოცამდე ქართული ოპერა წარმოადგენდა და, რაც საგულისხმოა, მთელი რიგი ოპერების მთავარი პერსონაჟების შესრულებლად ნ. ქუმსიაშვილი გვევლინება. ესენია ზ. ფალიაშვილის — „ლატავრა“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვ. დოლიძის „ცისანა“, შ. თაქთაქიშვილის „ბათიადი“ და სხვ.

საყურადღებოა ისიც, რომ ქუმსიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოძმე ხალხების ოპერების („ტარას ბულბა“, „ალმასტ“) თბილისის საოპერო სცენაზე დადგმის განხორციელებაში.

ნიკო ქუმსიაშვილის შემოქმედებითს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა აგრეთვე მისი მიწვევა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც 1932-33 წლის სეზონში დიდი წარმატებით მუშაობდა.

ცნობილია, რომ 1937 წელს ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის დიდ დღესასწაულად გადაიქცა. ამ დიდ საქმეში ნ. ქუმსიაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1942 წელს ნ. ქუმსიაშვილი განუკურნებელი სენით დაავადდა და 20 სექტემბერს გარდაიცვალა. სახელმოხვეჭილი მომღერალი, მისივე სურვილით, სამშობლო სოფელ ზემო ორხევში იქნა დაკრძალული.

ნიკო ქუმსიაშვილის დამსახურება ქართულ საოპერო ხელოვნების წინაშე განსაკუთრებულია. იგი სწორედ მაშინ მოვლინა ჩვენ საოპერო თეატრს, როდესაც ის შეელას ითხოვდა. მან მძიმე ტვირთი იკისრა, მაგრამ არც ერთხელ არ დაუვნეხია. ნიკო ქუმსიაშვილი ორი ათეული წლის მანძილზე დიდი ენთუზიაზმით ემსახურა მშობლიურ მუსიკალურ კულტურას და ამ კეთილი შრომით მოიპოვა ქართველი ხალხის დიდი სიყვარული.

„ჩემი პირადი ცხოვრება, — ვკითხულობთ მის ავტობიოგრაფიაში, — იმდენად ბედნიერია, რამდენადაც ბედნიერი არის და იქნება ის საზოგადოება, რომელშიც მე გავზრდილვარ, ვიზრდები და რომელსაც ყოველთვის ვანაცვალებ ჩემს ცოდნას, ნიჭსა და უნარს“.

მთელი მისი ცხოვრება ამის დამმოწმებელია. ამიტომ ვიგონებთ ნიკო ქუმსიაშვილს, როგორც ქართული ეროვნული კულტურის დიდ პატრიოტს.

**გრიგოლ ჩხიკვაძე,**
**პროფესორი.**

# მხიარული გემის ეკიპაჟი

**სახუმარო პანტომიმა** ახალი მოვლენაა საბჭოთა ცირკში. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელიც თბილისელმა მაყურებლებმა გამოიჩინეს ცირკის ახალი პროგრამისადმი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენის პროლოგიდან დაწყებული ფინალამდე ცირკის თაღის ქვეშ ტაშის გრიალი არ შენელებულა.

პანტომიმას ჰქვია „გემი მოდის „ანიუტა“, მისი შინაარსი ასეთია: ახალგაზრდები მიემართებიან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე, ამ გემზე არიან ცირკის მსახიობებიც. მოულოდნელად ირკვევა, რომ მხეცების მომვნიერებელი გზაში ჩამორჩა, ეს კი ნიშნავს, რომ საცირკო პროგრამა ჩაიშლება და ჰიდროელსადგურის მშენებლები ვერ ნახავენ საინტერესო წარმოდგენას. გემის ეკიპაჟი და მგზავრები გადწყვეტენ დაეხმარონ ცირკის მსახიობებს და თავიანთი ძალებით მოამზადონ რამდენიმე ნომერი.

პროგრამის მსვლელობის დროს მაყურებელი ეცნობა მთელ რიგ კომიკურ პერსონაჟებს: ცირკის ადმინისტრატორს პალ პალიჩს, რომლის გაგებითაც ხელოვნების მთავარი დანიშნულება გემის შესრულებაა, საჰივრების მოყვარულს — ნარცის პეტროვიჩს, უქნარა ოტროველას—აპოლონ ტრიშჩენკოვს, მეშჩანობის განსახიერებას—ქრიზანტემა ევლამპიევას. ამ როლებს ოსტატურად განასახიერებენ ა. გლუშჩენკო, ვ. მასლოვსკი, საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი ა. ვეკშინი და ე. კრასნოკუტსკაია.

სამწუხაროდ, ცირკის სპეციფიკური აუუსტიკის გამო, მათი რეპლიკები მაყურებელს თითქმის არ ესმის. ჩვენი აზრით, სალაპარაკო ეპიზოდები მინიმუმამდე რომ შემცირდეს, წარმოდგენა მოიგებს.

ვის არ მოეწონება ზესწრაფი ტემპი აკრობატ იურიევებისა, რომლებიც სახტომ ფიცარზე პირდაპირ სასწაულს ახდენენ. მაღალი გემოვნების ნიშანი ადევს მხატვრული ტანვარჯიშის ელემენტებზე აგებულ ნომერს, რომელსაც მოხდენილად ასრულებენ საერთაშორისო ფესტივალის ორგზის ლაურეატები დიომკინები.

მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ „მხიარული მზარეულები“ ოსტაშენკოები, მუსიკალური ექსცენტრიკოსები — სტამპინსკები, ორიგინალური ჟონგლიორები კოფუხოვები და აკრობატები ბონდარი და გროშები.

მაგრამ რა მშვენიერია ეკვილიბრისტი ვ. სერებრიაკოვი. მისი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, საცეკვაო-აკრობატული ნომერი ნამდვილად საუკეთესოა მთელ პროგრამაში.

წარმოდგენის ფინალი დათმობილი აქვს გაწვრთნილი დათვების ატრაქციონს. მართალია, ცნობილმა მომთვინიერებელმა ვლადიმერ ტინმა ახალი ვერაფერი გვიჩვენა, მაგრამ მისი დათვების აკრობატიკა, მეცეგურეობა და მოტო-ველორბოლა სრულდება ისეთი ტექნიკური სრულყოფითა და გულუბრყვილო იუმორით, რომ ეს ატრაქციონი მაყურებელს არასოდეს მობეზრდება.

და, ბოლოს, კიდევ ერთი დადებითი ფაქტორი, რომელიც დიდად ხელს უწყობს ამ წარმოდგენის საერთო წარმატებას. მხედველობაში გვაქს კარგად დადგმული და ასევე კარგად შესრულებული საბალეტო ციკვები, რომლებიც მრავალფეროვანს ხდიან საცირკო ნომრებს და ესთეტიკურ ელფერს აძლევენ მთელ პროგრამას.

**ი. გეგიაშვილი.**

* * *

**სურათზე:** ზემოთ — მხიარული პანტომიმას „ანიუტას“ საცირკო ჯგუფი მიესალმება თბილისელ მაყურებელს; მარცხნივ — მომთვინიერებელ ვლადიმერ ტინის გამოსვლა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ახალი ლექსები

# ავტობიოგრაფია

**გული რად გვიცემს ასე მღელვარედ,**
**ან ნაადრევად რად გვაქვს ჭაღარა?**
**თვალებში ციცხლი რად გვიელვარებს,**
**ან ჩვენი შუბლი**
**რაღამ დაღარა?**
**შთამომავლობამ იცოდეს მაინც,**
**რომ თავი მუდამ გვეჭირა მაღლა,**
**არად ვაგდებდით თაკარა თუ**
**ყინვიან ამინდს,**
**არც გვქონდა ნება**
**გვცოდნოდა დაღლა.**
**შთამომავლობამ იცოდეს უნდა,**
**ჩვენმა მამებმა თუ გაჰკვეთეს**
**სიბნელეს ტყვრი,**
**სიმართლის დროშა თუ**
**ეპყრათ მუდამ**
**და ძლევის მარშით**
**მიადგნენ ბერლინს; —**
**შთამომავლობამ იცოდეს უნდა,**
**ოცდაჩვიდმეტ წელს**
**ემსხვერპლა ბევრიც.**
**და ჩვენ, მათს შვილებს,**
**გვესმოდა ზუსტად,**
**ჩვენივ სურვილით**
**და ჩვენივ ნებით**
**როცა სამგორში ვშრომობდით თუ**
**ვხატავდით რუსთაველს, —**
**ჩვენი სამშობლოს ამაღლებას**
**შევუდგით მხრები.**
**ყინვაც, შიმშილიც,**
**გაჭირვებაც, წვიმაც და თოშიც**
**მოულად ჭაბუკებმა**
**გამოვცადეთ**
**იმ სასტიკ ომში.**
**მაგრამ არასდროს**
**არ გვიგრძვნია**
**სულით დაცემა,**
**ბავშვები უცბად**
**გადვიქეცით მამაკაცებად.**
**ჩვენ მოვიარეთ**
**უშორესი სივრცე და გზები.**
**სხვადასხვა ქვეყნად**
**შეეყიძინეთ ნამდვილი ძმები.**
**განა ყაზახეთს**
**გადავხანით მხოლოდ ყამირი,**
**ან უდაბნოში**
**გავაბარეთ უცხო ყვავილი, —**
**ჩვენს ვაჟკაცობას,**
**შემართებას**
**და მხრების გაშლას, —**
**მშენებლობებზე**
**ჩვენს დიდებულ**
**ჭაბუკურ ლაშქარს, —**
**კოსმოსის პირველ**
**დამპყრობებს**
**რომ გვეძახდნენ ვაშას!**
**ჩვენ ეგვიპტეშიც,**
**ინდოეთშიც,**
**კამბოჯაშიც**
**და კორეაშიც**
**სამშვიდობოს ვაგებდით კაშხალს.**
**შთამომავლობამ იცოდეს უნდა,**
**ჩვენ სულ სხვაგვარად**
**ვუცქერდით ამინდს.**
**ჩვენ დიდ საქმეზე ვფიქრობდით**
**მუდამ.**
**კოსმეტიკისთვის არ გვეცალა**
**მაინცდამაინც.**
**ან მართლაც როგორ**
**მოვიცლით, როცა**
**ვიცით, რომ სადღაც**
**აფეთქებენ საშინელ ატომს,**
**როცა სამყარო**
**მზიან დღეს ლოცავს**
**და სამუდამო მშვიდობას ნატრობ,**
**ჩვენ ახლა ბერლინს,**
**კონგოს თუ კუბას**
**განვიცდით როგორც**
**თბილისის უბანს.**
**არ გაგიკვირდეთ**
**აღელვებულს**
**თუ ნახავთ მერე**
**ამ ჩემს მშვიდობიან**
**დაჟიმულ ნერვებს.**
**როცა სამყაროს**
**ეს მშფოთვარე ამბები უვლის.**
**ყოველდღიურად**
**ისმის ასე მღელვარე ხმები,**
**არ გაგიკვირდეთ**
**ასე რატომ მიჩქროლავს გული,**
**ან ნაადრევი**
**ჭირხლით რატომ გამევსო თმები.**

**ნოდარ გურეშიძე.**

# ჯონ პრისტლის პრეს-კონფერენცია

### „ეს ახალი და კიდევ უფრო კარგი საბჭოთა კავშირია“

**ერთ თვეზე** მეტ ხანს იმყოფებოდნენ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ ბოიხტონ პრისტლი და მისი მეუღლე მწერალი ჯაკეტა ჰოქსი. ისინი იყვნენ მოსკოვსა და იალტაში, სომხეთის, საქართველოსა და უზბეკეთის ქალაქებში. 16 ნოემბერს სამშობლოში გამგზავრების წინ სტუმრებმა პრეს-კონფერენციია გამართეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობაში.

— ეს მოგზაურობა რომ გადავწყვიტე, — განაცხადა ჯ. პრისტლიმ, — მიხდოდა კვლავ მენახა ის ქალაქები, რომელთაც 1945 წელს გავეცანი, — მოსკოვი, თბილისი, ერევანი, მინდოდა ვწვეოდი უზბეკეთს, სადაც წინათ ვყოფილვარ. უკვე გზაზე აეროდრომიდან მოსკოვის ცენტრისაკენ ვნახე, რომ მშენებლობამ აქ უდიდეს მასშტაბს მიაღწია. ჩემს თვალწინ წარმოსდგა სავსებით ახალი ქალაქი. როცა ცოტა ხნის შემდეგ ერევანს ჩავედი, ისიც ვერ ვიცანი. მინდა მოგილოცოთ ქალაქთმშენებლობის ეს უდიდესი გაქანება.

ტაშკენტზე რომ ილაპარაკა, მწერალმა განაცხადა: შუა აზიის მთებსა და უდაბნოებში თქვენ არათუ ააშენეთ მშვენიერი დიდი თანამედროვე ქალაქი, არამედ შეუნარჩუნეთ მას ძველი ელფერი. ეს ჩემს აღტაცებას იწვევს.

ასევე დიდი შთაბეჭდილება, განაგრძო მწერალმა, მოახდინა ჩემზე მისწრაფებამ განათლებისადმი, ხელოვნებისადმი, მეცნიერებისა და ტექნიკისადმი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა წარმატებით მუშაობს ფერწერასა და ქანდაკებაში. ყოველივე ის, რაც მთ ამ დარგებში შექმნეს, ბევრის მომასწავებელია.

თითქმის ყველაფერი, რაც თქვენს ქვეყანაში ვნახე, თქვა სტუმარმა, უფრო სრულყოფილი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. ეს ახალი და კიდევ უფრო კარგი საბჭოთა კავშირია, უფრო აყვავებული, უფრო ბედნიერი, რომელსაც შეუძლია შეიტანოს შესანიშნავი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

ჯ. პრისტლიმ და ჯ. ჰოქსმა უპასუხეს კორესპონდენტთა შეკითხვებზე. (საკდესი).

# ომანელი პატრიოტების იერიში

**ნიუ-იორკი,** 16 ნოემბერი. (საკდესი). ფართოვდება ანტიკოლონიური ბრძოლა ომანში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნიუშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ომანელ პატრიოტთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 13 ნოემბერს ომანელმა აჯანყებულებმა ააფეთქეს ინგლისის კომპანიის „ადამსის“ ნავთობსაცავი და იერიში მიიტანეს ინგლისელ კოლონიზატორთა რაზმზე, რომელიც ოთხი ჯავშნოსნით მოიწევდა წინ. იერიშის შედეგად მთლიანად განადგურებულია ერთ-ერთი ჯავშნოსნის ეკიპაჟი და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

**◆ მოძრაობის დაწყებიდან სულ 8 წუთი დასჭირდა იაპონიაში აგებულ სუპერ-ექსპრესს იმისათვის, რომ მიეღწია საათში 200 კილომეტრი სიჩქარისათვის. სუპერ-ექსპრესის მორიგმა გამოცდამ დაადასტურა მისი საუკეთესო სავალი თვისებები. ვაგონების გადაბმის განსაკუთრებული ხასიათის საშუალებით მთლიანად გამორიცხულია ყოველგვარი რწევა და ბიძგები მოძრაობის დროს. ზეჩქარული მატარებელი ივლის სახელმწიფო რკინიგზის ახალ ხაზზე ტოკიოსა და ოსაკას შორის.**

**◆ სამხრეთ ვიეტნამში გრძელდება მხეცობა იმ პატრიოტთა წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან ანტიხალხური დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ნგო დინ დიემის „სპეციალურმა სამხედრო ტრიბუნალმა“ ბინ-თხუანის პროვინციაში ხუთ კაცს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, ხოლო სამს სხვადასხვა ვადით კატორღაში მუშაობა მიუსაჯა. ამასთანავე, სამხედრო ტრიბუნალებმა საიგონსა და თხუ-დაუ-მოტეში ამ უკანასკნელ დროს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს კიდევ 10 პატრიოტს.**

**◆ ძლიერმა ქარიშხალმა, რომელიც მძვინვარებდა 15 ნოემბერს საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ზარალი მიაყენა არხის ნაგებობებს დიუნკერკის ნავსადგურის რაიონში. გერმანიის სავაჭრო გემი „ადრიანი“. ქარმა დააჯახა სარაბო მოწყობილობას, რომელიც არხში წყლის დონეს აწესრიგებს, და დააზიანა რაბის კარის მექანიზმი. გემიც სერიოზულად დაზიანდა. ქარიშხალმა აიძულა რამდენიმე გემი თავი შეეფარებინა დიუნკერკისა და კალეს ნავსადგურებში.**

**◆ ბერძენ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარემ მესოლონგიტისმა განაცხადა, რომ ამ კავშირში შემავალ ბერძენ მსახიობთა 40 პროცენტი უმუშევარია. ამასთანავე, სამუშაო არა აქვს და გაჭირვებულ ცხოვრებას ეწევა ასობით მსახიობი, რომლებიც არ შედიან კავშირში.**

**◆ 1961 წელს ავსტრიაში ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი 1955 წელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა. კერძოდ, გაძარცვის რიცხვი ამ პერიოდში გადიდდა 8 პროცენტით, გატეხით ქურდობისა — ერთიორად. (საკდესი).**

# ადენაუერმა დაამთავრა მოლაპარაკება ვაშინგტონში

**ვაშინგტონი,** 16 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ვაშინგტონში დამთავრდა მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისა და სახელმწიფო მდივან რასკს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ადენაუერის საბოლოო შეხვედრის შემდეგ თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ამერიკა-დასავლეთ გერმანიის ერთობლივი კომუნიკე. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ კენედიმ და ადენაუერმა განიხილეს „ამასწინანდელი საერთაშორისო ამბები და შეისწავლეს შესაძლებლობანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში, გადაუჭრელი საკითხების დაუსტებისა და მშვიდობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით“.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ კენედიმ და ადენაუერმა განიხილეს გერმანიის პრობლემა, „აგრეთვე ბერლინის პრობლემა“. მოლაპარაკების მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს დასავლეთის სახელმწიფოთა განზრახვას შეინარჩუნონ ამჟამად დასავლეთ ბერლინში არსებული საოკუპაციო სტატუსი „ყოველ გარემოებაში და ყველა საშუალებით“.

კომუნიკეში აგრეთვე ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა და კანცლერმა განიხილეს „ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური და სამხედრო საკითხები“. მაგრამ კომუნიკეში ჯრაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, მიღწეულია თუ არა შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შორის ბონის შეიარაღებული ძალების რიცხვის გადიდების შესახებ, რის მიღწევასაც, როგორც ცნობილია, ვაშინგტონი ცდილობდა თავისი დასავლეთგერმანელი მოკავშირისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მაღალფარდოვანი განცხადებებისა „თანხმობის“ და „სრული გაგების“ შესახებ, რასაც კომუნიკე შეიცავს, ამერიკის პრესა მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შეფასებაში ხაზს უსვამს, რომ სინამდვილეში მოლაპარაკება დამთავრდა არცთუ ისე კარგად, როგორც კომუნიკე ირწმუნება. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ პირდაპირ აღნიშნავს დღეს, რომ „მოლაპარაკების ატმოსფერო გრილი იყო“. ამერიკის გაზეთები ეთანხმებიან ასეთ შეფასებას და განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმას, რომ ადენაუერს დაეინებით არ სურს დაეთანხმოს ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას, რომ იცოროს ხარჯების მნიშვნელოვნად მეტი წილი ნატოში. ამასთანავე, როგორც, კერძოდ, გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“ აღნიშნავს, ადენაუერი დაბეჯითებით ცდილობდა მიეღო კენედისგან დაპირება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დაეთანხმებიან არავითარ კომპრომისს გერმანიის პრობლემისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის გამო მოლაპარაკების მსვლელობაში.

# ბრძოლები იემენში

**კაირო,** 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც მენის სააგენტო იუწყება სანიდან, საადის გარნიზონის ჯარების სარდალმა განაცხადა, რომ 13 ნოემბერს იემენის არაბთა რესპუბლიკის ჯარებმა მოიგერიეს მეფეების საუდისა და ჰუსეინის დაქირავებული ჯარების შეტევები, რომლებიც ცდილობდნენ ხელი ეგდოთ საადა. ბრძოლის შედეგად დაზიანებულია საუდისა და იორდანიის ჯარების 3 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგისაგან ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა, რომლის ნაწილი ამერიკული წარმოებისაა.

# სპორტული დღე

# მოკრივეთა ბრძოლა

**თბილისსა** და ლენინგრადში გრძელდება ჩვენი ქვეყნის გუნდური ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება კრივში. გათამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ასპარეზობას. ზონებში გამარჯვებულ ორ-ორი გუნდისაგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშდება ოქროს მედლები. დასკვნითი ასპარეზობები გაიმართება ტალინში 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის ზონალურ შეჯიბრებაში ფინალში გასვლისათვის იბრძვიან სსრ კავშირის ჩემპიონი „შრომითი რეზერვების“ მოკრივეთა კოლექტივი, აგრეთვე „სპარტაკის“, „დინამოსა“ და „ავანგარდის“ გუნდები.

პირველად რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ „შრომითი რეზერვებისა“ და „ავანგარდის“ მოკრივეები. „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო. მათ ყველა წონითს კატეგორიაში აჩვენეს მაღალტექნიკური ბრძოლა და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:0.

უფრო მძაფრი და მიმზიდველი იყო „დინამოსა“ და „სპარტაკის“ მოკრივეთა კოლექტივების შეჯიბრება. მიუხედავად მოწინააღმდეგის ყოველგვარი ცდისა, სპარტაკელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 6:4.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები, გამოვლინდება ფინალის მონაწილე ორი გუნდი.

# ამერიკელი კონგრესმენები თეირანში

**პარიზი,** 17 ნოემბერი (საკდესი). გუშინ თეირანში ჩავიდა ოთხი ამერიკელი სენატორი, რომლებსაც მეთაურობს დემოკრატთა ლიდერი სენატში მაიკ მენსფილდი, რათა შეისწავლონ პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ირანისადმი ამერიკის ეკონომიურ დახმარებასთან, იუწყება თეირანიდან ფრანს პრესის საგენტოს კორეაპონდენტი. იმავე თვითმფრინავით ჩავიდა ამერიკას მეორე მისია, რომელშიც შედიან კონგრესის წევრები და თადარიგის ოფიცრები, სამხედრო დახმარებას საკითხების შესასწავლად.

დღეს ამერიკელი ვიზიტორები მიიღეს ირანის შაჰმა და პრემიერ-მინისტრმა.

# ომანელი პატრიოტების იერიში

**ნიუ-იორკი,** 16 ნოემბერი. (საკდესი). ფართოვდება ანტიკოლონიური ბრძოლა ომანში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნიუშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ომანელ პატრიოტთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 13 ნოემბერს ომანელმა აჯანყებულებმა ააფეთქეს ინგლისის კომპანიის „ადამსის“ ნავთობსაცავი და იერიში მიიტანეს ინგლისელ კოლონიზატორთა რაზმზე, რომელიც ოთხი ჯავშნოსნით მოიწევდა წინ. იერიშის შედეგად მთლიანად განადგურებულია ერთ-ერთი ჯავშნოსნის ეკიპაჟი და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

**19 ნოემბერი**

**პირველი პროგრამით**

06.40 — ქართული ხალხური საცეკვაოები, 08.15 — „ჩემი ქვეყნის სიმღერები“, 09.10 — საბჭოთა სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 11.15 — ესტონელი და ლატვიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, 12.00 — ნარკვევი: „ჩვეულებრივი ადამიანები“, 12.15 — ა. მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“, 13.40 — ნაწყვეტები ჟ. ოფენბახის ოპერეტებიდან, 17.15 — ვილა ლობოსის კამერული ნაწარმოებები, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. მარტინ ლასნის მოთხრობა „ბიჭი“, 18.10 — კონცერტი — „შენ გიმღერით, საყვარელო სამშობლოვ“, 18.45 — ვ. მიზიანოს კონცერტი, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „საუბრამთა ხელმძღვანელები მოგვითხრობენ“, 20.15 —„ძილისპირული“, 20.30 — ბ. კვერნაძე. სავიოლინო კონცერტი, 21.00 — ნაწყვეტი კ. ლორთქიფანიძის რომანიდან „კოლხეთის ცისკარი“, 21.20 — მ. ამირანაშვილის თ. ამირეჯიბის და ზ. ანჯაფარიძის კონცერტი, 22.15 — გლაზუნოვის კამერული მუსიკა, 22.50 — ნ. გუდიაშვილი. ქართული ფანტაზია, 23.30 — პოპულარული არიები ოპერებიდან.

## ჭალევიზია

**18 ნოემბერი**

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი „სიმღერა ნაცარა მტრედზე“. ფილმის შემდეგ ქართული და რუსული ენების გაკვეთილები, 15.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი „დინამოს“ სტადიონიდან, 16.45 — 18.00 — შესვენება, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.40 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.55 — კინონარკვევი, 20.25 — საესტრადო-სატელევიზიო მიმოხილვა „სიმღერებით მსოფლიოს გარშემო“, 20.55 — მუსიკალური ფილმი — „ცეკვის სამყაროში“.

**19 ნოემბერს**

18.00 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის — „იქნება თქვენც გაკეთოთ“, 18.20 — გადაცემა უფროსკლასელთათვის — „პლანეტა მარსისაკენ“, 18.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „პლენუმის საპასუხოდ“ — „ორი კოლმეურნეობა — ორი შედეგი“, 19.45 — კინონარკვევი, 20.25— გადაცემა — „უკრავს ნატალია ავალიანი“, 20.45 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 21.00 — მხატვრული ფილმი „სიმკაცრე“.

## კინო

**18 ნოემბერი**

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, აკაბეგი** (პირველი დარბაზი), **ნაკადული** — სალამი, ბავშვებო! **ოქტომბერი, გაზაფხული** — გულის ლაბირინთი, **ისანი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — უმოწყალო ღამე.

## თეატრები

**18 ნოემბერი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** —გედის ტბა (დღისით), დაისი (საღამოს, მე-15 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ზღვის შვილები (დღისით), ქუთათურები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახ